

პრილი

13
საქართველო
1993-2004

№3-4 (1998-1999)

საზოგადოებრივ-ლიბერალური ჟურნალი

გერგო-პერილი

ფასი 1.50 ლარი

1134

2004



ურანს

კაფკა

რომანის

ნიმუშობა

#3-4

2004

1993

არილი

საზოგადოებრივ-ლიბერალური
ასოციაცია "არილის" გამოცემა

The Literary Magazine ARLI

არილი - დასასვენებელი სინფონია(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
აპოლონი 260ს
პანგაბრატოვი ლექსიკონი

მთავარი რედაქტორი
შადიმან შამანაძე

სარედაქციო საბჭო

მალხაზ ხარბედა
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრაღიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფარუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

მენეჯერი - ნანა ჩხვიმიანი
კომპიუტერიული დირექტორი -
გიორგი სუბარი

კომპიუტერიული უზრუნველყოფა
თამაზ ჩხაიძე
ელისო კალმახელიძე
მანანა კორძაძე

ტელ/ფაქსი: 98-84-00

e-mail: kharbedia@yahoo.com

მისამართი: ლესელიძის ქ. №4

ფურნალი იბეჭდება გაზეთ
"კვაკასიონის" სარედაქციო ბაზაზე

განსივლას აუხავეთი!

№3-4, მარტი-აპრილი, 2004

ლიბერატურა

შოთა ითაშვილი

"ვაფიზის ვარდი მი პრუდომის ჩაგრვა ვაზაში".....1

გივი ალხაიშვილი

ლექსები.....10

ვაჟა ხორნაული

ლექსები.....12

მიშელ გავარსაკისი

დამდარი შოქოლადის საღვარი (პიესა).....13

პატრიკ ზიუსკინდი

ბრძოლა.....20

ლუიჯი ალამანი

ტულუზის გრაფის ასული ბინაქა.....25

მარკ სტრენდი

ლექსები.....36

დენვერ ბათონი

ლექსები.....40

ზედი სმითი

ფრანც კაჟკა რომანის წინააღმდეგ.....42

იასუნარი კავაბატა

ლიტერატურის შესახებ.....52

2003 წელს ჟურნალის "Новое литературное обозрение" (НЛО) 62-ე ნომერში დაიბეჭდა ჩემი მიმოხილვითი ხასიათის წერილი თანამედროვე ქართულ პოეზიაზე. ეს სპეცნომერი მთლიანად მიეძღვნა თანამედროვე პოეზიას. რედაქციის სურვილი იყო, აღმეწერა ქართულ პოეზიაში ბოლო 10-15 წლის განმავლობაში მიმდინარე ის მოვლენები, რომელიც დასავლურ ორიენტაციას აძლიერებდა და აყალიბებდა, და გამოშვევით ის ავტორები, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ და ასრულებენ ამ პროცესში. წინასწარიისგან მონყვევით ამის ჩვენება შეუძლებელი მეჩვენა და ამიტომ წერილს წინ დაფურთე აუცილებელი მცირე ექსკურსი, - ის, რაც ქართული მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ რუს მკითხველს ამის გარეშე საჭირო კონტექსტში ვერ შევიყვანა. ცხადია, ჩემი მხრიდან იყო ძალიან დიდი სურვილი, უფრო დანვრილებით განმეხილა 50-იანი, 60-იანი, 70-იანი წლების ის ქართული პოეზია, რომლის განვითარებამაც 80-90-იანი წლებისა და ახალი მილენიუმის ქართულ პოეზიაში მიმდინარე პროცესები გამოიწვია და დაამტკიცა, მაგრამ წერილის ფორმატი ამის საშუალებას არ იძლეოდა. ისედაც, წერის პროცესში, იმის სურვილით, რაც შეიძლება სრულად მეჩვენებინა ბოლო პერიოდის საინტერესო ავტორთა სპექტრი, წერილი ნელ-ნელა გაიზარა და შეკვეთილზე ორჯერ უფრო დიდი გახდა. იგი პირდაპირ რუსულად იწერებოდა და მას არ ედაქტირებდა ჩემი მეგობარი, ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, მოჭი და კრიტიკოსი ილია კუკულინი. ასე რომ, ეს ტექსტი ავტორისეულ თარგმანს წარმოადგენს წერილის სახის მაქსიმალურად შენარჩუნების სურვილით.

ბარემ ბევრ ადვინაზე, რომ სულ ცოტაა წნის წინ გამოვიდა ჟურნალ "Дружба народов"-ის შესამე ნომერი, რომელიც მთლიანად ქართულ ლიტერატურას ეძღვნება და ამ ნომერში დაბეჭდილია ჩემი წერილი ბოლო პერიოდის ქართულ პროზის შესახებ.

შოთა იბათაშვილი

“ჰაფიზის ჰარდი მე პრუდომის ჩაპრბე ჰაზაში“

ქართული პოეზიის კულტურული ორიენტაციის შეცვლის შესახებ

1.
 თანამედროვე ქართულ პოეზიაზე საუბრის, კარგი იქნება, თუ წინ წაფუმღვარებთ მცირე ისტორიულ ექსკურსს - მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ მოყვანილი ფაქტები და სახელები ალბათ ცნობილია "НЛО"-ს ბევრი მკითხველისათვის. შემდეგი რამდენიმე გვერდი შეეხება ქართულ პოეზიაში დასავლური გავლენების ისტორიას. მათი ჩამოთვლა შესაძლებლობას მოგვცემს დავინახოთ ქართული პოეზიის განვითარების საერთო გზა 1960-იან წლებამდე; ამ თაობის ავტორებიდან (რომლებიც რუსეთში შედარებით ნაკლებად არიან ცნობილი) ჩვენ დავინყვით უფრო დანვრილებით ანალიზს!

ქართული კულტურა, ლიტერატურა და მით უმეტეს პოეზია დასაწყისიდანვე მჭიდრო კავშირში იყო აღმოსავლურ ქსთეტიკასთან, განსაკუთრებით კი სპარსულთან. საქართველო საუკუნეების განმავლობაში ირანის კოლონიას წარმოადგენდა, და ქართველ წარჩინებულთა წრეშ შეხანიშნავად იცოდა სპარსული ენა და კლასიკური სპარსული პოეზია. ბუნებრივია, ამ გარემოებას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ქართული პოეზიის განვითარებაზე. კულტურული ურთიერთობები დასავლეთთან ხორციელდებოდა ბიზანტიის მეშვეობით, მაგრამ პოეზიაზე, თუ არ ჩავთვლით საეკლესიო საგალობლებს, ამას არსებითი გავლენა არ მოუხდენია. პოლიტიკურმა, და შესაბამისად, კულტურულმა ვექტორმა შეცვლა დაიწყო საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ; რუსულმა კულტურამ შეამჩნევი გავლენა მოახდინა ქართულ კულტურაზე.

თუკი ამ ქრონოლოგიურ მიჯნას ქართული კულტურის დასავლეთის ახალ კულტურასთან მიახლოების დასაწყისად ჩავთვლით, მაშინ პირველ ქართველ "დასავლელ" პოეტად შეიძლება დავასახელოთ დავით გურამიშვილი (1705-1792); ის დიდი უწინას განმავლობაში ცხოვრობდა რუსეთში, შემდეგ უკრაინაში, სადაც დაასრულა თავისი ცხოვრების გზა. ფორმალური თვალსაზრისით გურამიშვილი ნამდვილი ნოვატორია პოეზიაში: იგი იყენებს ახალ სალექსო ფორმებს და მის ყველაზე რადიკალურ ექსპერიმენტებში სპარსული ფერსიფაგაციის კვალიც კი არ შეინიშნება. ხანდახან გურამიშვილი ლექსს ავებს სლავური ხალხური სიმღერების მელიოდისკის იმიტაციებით, და თვად აღნიშნავს ამ ფაქტს თავის ლექსებში. მაგალითად,



საქართველოს
განათლების
მინისტრის
სამსახური

ერთ ლექსზე ის ამბობს, რომ დანერვილია სიმღერის "ვაზაჲ ღუმს პრავდეიასა" მელიოდისკის შესაბამისად. გურამიშვილის შემოქმედების თემატიკური დიაპაზონი ძალიან ფართოა: უპირველეს ყოვლისა, ის მართლმადიდებელი პოეტი, მაგრამ ამას გარდა ეროტიკული, სკაბრეზული ლირიკის ავტორიცაა. გურამიშვილის ლირიკა, მისი წინამორბედების პოეზიისთან განსხვავებით, თამამად შეიძლება დავასისათთან, როგორც დასავლური და მნიშვნელოვანწილად ექსტერიორიზებული.

მოუხდებოდა ზემოთქმულსა, გურამიშვილი, ცხადია, არ იყო ევროპული პოეტი ამ სიტყვის სრული გაგებით. ამ განსაზღვრებას უფრო შეესაბამება ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817-1845), ყველაზე დიდ ქართული პოეტ-რომანტიკოსი. შეიძლება კამათი იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად იცნობდა იგი ევროპული ლიტერატურის ახალ ტენდენციებს, მაგრამ ის, რომ ბარათაშვილი ნოვატორია უკვე არა მხოლოდ მხატვრული ფორმის თვალსაზრისით, არამედ როგორც მოაზროვნე და მთლიანად ორიენტირებული ახალ დასავლეთზე, სრულიად უწყველია. იმ დროს საქართველოში იყვნენ სხვა პოეტებიც, რომელთაც ასევე რომანტიკოსები უწოდეს, მაგრამ მათი ორნამენტული რომანტიზმი პირდაპირ კავშირში არაა ევროპულ რომანტიზმთან.

XIX საუკუნის პოეტი-„სამოციანელებმა“ უმაღლესი განათლება რუსეთში მიიღეს, ამიტომ მათ „თერცდალეულეს“ უწოდებდნენ (სიტყვის თაბაშია: აღნიშნავს ერთდროულად მათ, ვინც თურგი უკან მოიტოვა, და მათ, ვინც თურგის წყალი დალია). ისინი, ყველანი, ევროპაზე იყვნენ ორიენტირებული და პოლიტიკა და კულტურის ევროპეიზაციის ცარიზმისაგან თავის დაღწევის საშუალებად თვლიდნენ. კოვჩიის შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აკაკი წერეთელმა (1840-1915). მან ქართული პოეტურ ენას გამჭვირვალება, სიმსუბუქე და უშუალო მუსიკალურობა მიანიჭა, ამიტომ მისი როლი შეიძლება შევადაროთ იმას, რაც რუსულ პოეზიაში შეასრულა პუშკინმა, გერმანულში - შაინემ, ფრანგულში კი ბერანსემ. ფართო კულტურული ინტერესებითა და ინტელისური ლიტერატურული და სამოქალაქო მოღვაწეობით ცნობილი ილია ჭავჭავაძე (1837-1907) პროპაგანდისტი და რეალზაციონარი იყო იმ დასავლური კულტურული და სოციალური სიახლეების, რომელთაც იგი პროგრესულად მიიჩნევდა.

დასავლეთთან დაახლოების შემდეგ სერიოზულ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს XX საუკუნის დასაწყისი: ყველა ის „იზმები“, რომლებიც ევროპაში დაიბადა და რუსეთამდე მიადან, საქართველოშიც იქნა ათვისებული. ამ ლიტერატურული მიმდინარეობებიდან ყველაზე ძლიერი და სოციალურ-სწრაფიანი სიმბოლიზმი აღმოჩნდა. პოეტური ორდენი „ცისფერყანწელები“ ამ ორდენს არშეუღალა XX საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე (1891-1895) ფრანგული სიმბოლიზმის იდეოლოგია და ეს-თეტიკას მისდევდნენ. ორდენის წევრებმა, რომლებმაც მთლიანად მიიღეს ფრანგული სიმბოლიზმის ესთეტიკა, ქართულ პოეზიაში სინტის ფორმა შემოიტანეს, ხოლო გალაკტიონ ტაბიძემ ფრანგი სიმბოლიზმის გამოყვანილ-ბაზე დაყრდნობით შეძლო საინტერესო და თვითმყოფადი მხატვრული სიტყვის შექმნა. თუმცა, საინტერესოა, რომ მთავი გალაკტიონ ტაბიძემაც თავის 1919 წელს გამოსულ საეტაპო ნიგნს ფრანგული სახელი უწოდა „Crane aux fleurs artistiques“ („არისტული ყვავილები“), რაც ცხადია, მისი მხრიდან გააზრებული ფესტი იყო. გალაკტიონ ტაბიძის ბიძაშვილის, „ცისფერყანწელების“ ორდენის წევრის, ტიციან ტაბიძის (1895-1937) შემოქმედებამ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბრძოლა სინთეზის კონცეფციით შეიცვალა, რაც შთაბეჭდვად გამოიხატა შემდეგ სტრიქონებში:

„აფერხის ვარდი მე პროდომის ჩაერგე ვაზამი,
ბესიკის“ ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს.
„L'Art poetique“,
ბენედიქტ ლევიციის თარგმანი

სიმბოლიზტების გარდა XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში არსებობდა აგრეთვე დადაისტებისა და ფუ-

ტურისტების დაფუძვლები (ისინი გაერთიანებული იყვნენ ჯგუფში „40“ და გამოცემდნენ პოეტურ ჟურნალს „H2SO4“). სხვა ქვეყნების ფუტურისტებისა და დადაისტებისაგან განსხვავებით, ამ მიმართულებათა წარმომადგენლები საქართველოში ერთმანეთს შორის არ კამათობდნენ, აზრთა განსაკუთრებულ სხვადასხვაობებს არ ამჟღავნებდნენ და მეგობრობდნენ კიდევ.

როგორც სიმბოლიზტები, ასევე დადაისტები და ფუტურისტები ხშირად ბაძავდნენ ევროპულ ნიმუშებს, და საკმაოდ დიდი ნიშნ შემდეგ მათი გამოყვანილმა საქართველოში გახდა ქართული პოეზიის განვითარების ახალ ეტაპზე, XX საუკუნის დასასრულს. 1910-1920 წლების ქართველი ავანგარდისტების შემოქმედებამ ფუტურისტული „ზაუმი“ შეიქო ეროვნული მასალით: დიალექტიზმებით და ფოლკლორიდან ციტატებით (მაგალითად, შლოცვებით). მოვიყვან დასავლეთის სიმონ ჩიქოვანის (1903-1966) ლექსიდან „ცირა“:

ბაღე ბაიდეხს
ბუდე ბაიდეხს
ცირა მუხლებზე გულფოლტეს დაიდეხს
აბა-ბაიდეხს, აიღო ბაიდეხს...

ციტირებული ოთხი სტრიქონიდან მხოლოდ ერთი, მესამეა თარგმანი, - ხოლო ამ სახის უთარგმნელი რეფრენები არაერთგზის მეორედმა მიმღეს ტექსტში.

1930-იანი წლებიდან ექსპერიმენტები პოეზიაში თითქმის შეწყდა. ცოცხალი პოეტური სიტყვა შეიცვალა სოციალისტური ამ პატირებული პოეტური კლიშეებით; სხვათა შორის, ეს ორი იდეოლოგიური მიმართულება სრული წარმატებით ურთიერთქმედებდა. პოეტური სტანდარტის შედეგ გახდა პოეტური ენის გაბარიტება, მეტაფორული სიტყვების დაღწეობა. ლექსი აღადა ლოზუნგების და ინდევიდუალური ამ კოლექტიური ექსპრესიის რიტმული ორგანიზაციის საშუალება.

1960-იანელთა თაობის ავტორებმა სერიოზულად პირველად მიმართეს კლასიკურ ვერლობს. ახალმა, ტრადიციით დახუნძლულმა ფორმამ მათ შესაძლებლობა მისცა წინა პლანზე გამოეტანათ ეგზისტენციალური, ზოგადასაკცობრივი პრობლემები, სხვადასხვა ზნობრივ დასულობათა ურთიერთდაპოვიტელების საკითხები. ამ თაობის ავტორთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ორი პოეტი. ლია სტურუსი (1939) პოეტური ხელწერა დადვიტრთული სიურრეალისტური სახეები და ნეოროზული ვერლობით; ამ ვერლობებზე განვითარებული ესთეტიკით ლია სტურუსი ამ მოგვიანებით შექმნა სინტეტის რამენიმე ციკლი, რომელთაც დასაბამი დაუდეს თვისობრივად ახალი ტიპის სინტეს ქართულ პოეზიაში. მეორე უმნიშვნელოვანი პოეტი-„სამოციანელი“ ბესიკ ხარანავალი (1939), რომლის ლექსებსა და პოემებშიც რეალური ცხოვრებისეული სიტუაციები საბაბია ფილოსოფიური განსჯებისათვის. ამ თაობის სხვა წარმომადგენლები და მათი უმცროსი თანამედროვეები, რომელთა შემოქმედებამ 1970-იან წლებში გაიწვრქვა, დაახლოებით იმავე კალაპოტს მიუყვებოდნენ და ხელს უწყობდნენ ქართული პოეზიის შემდგომ ევროპეიზაციას.

იმავე პერიოდში მოხდა არსებითი განახლება პოეზიის იმ მიმართულებებისა, რომლებიც ლექსთწყობის ტრადიციულ კონვენციურ ფორმებთან იყო დაკავშირებული. ოთარი ქლიაძემ (1939), ამჟამად მსოფლიოში ცნობილმა რომანისტმა, თავისი შემოქმედება პოეზიით დაიწყო და ქლიაძის პოეტური ნოვატორიზმა არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურისათვის, ვიდრე მისი რომანები. უცხოენოვანი ტრადიციებიდან ქლიაძისთვის ყველაზე მეტად შესაძენეია გადაახილები რუსულ პოეზიათთან, მაგალი-

თად, ქსენინთან ან ანამტოკასთან. ჭილაძემ შესძლო ქართული მოუზიხათვის პრინციპულად ახალი ტრისის სასიყვარულო ღირსი შექმნა: ვინცა აქ გამოხატულია სახეც-მულად თავშეკავებულად, იგი ინტელექტუალიზებულია და ჭილაძის ნაირ სისტემაში ეს დაკავშირებულია "შე"-პერსონალის ღრმა ინტელიგენტობასთან. ავტორი ცდილობს აირიდოს დათავსებული, პოეტური გამონათქვამების გაურკვეველობა და გადაჭარბებული ემოცია სასიყვარულო გრძნობების გამოხატვისას.

ქალი ტიროდა. გარეთ კი თოვდა და გროვდებოდა თოვლი რაფაზე და ქალთან რაღაც საერთო ჰქონდა ზამთრის სიმკაცრეს და სიკაპასეს.

შემოთხებულნი იყვნენ სანებცი, ან თოვლის შუქზე მოჩანდნენ ასე და, რა თქმა უნდა, ჩემზე ნაკლებად იტანჯებოდნენ ტირილის ხმაზე.

ის კი ტიროდა და პირქვე იწვა: სურდა ტირილით თავი გაერთო... და უკვე თოვლით დაფარულ მიწას იმ ქალთან რაღაც ჰქონდა საერთო.

ო. ჭილაძე "ოთახი".
იოსებ ბროდსკის თარგმანი

2.

ახალი ქართული პოეზია, რომლის შესახებაც უფრო დანერგვით ვაიმერებ საუბარს, "პერსექტივის" დროიდან დაიწყო. იგი წარმოიშვა იმ სინთეზის მეშვეობით, რომელიც ცნობიერად თუ ქვეცნობიერად განახორციელეს 1980-იანელთა თაობის ავტორებმა მათ შეათავსეს XX საუკუნის დასაწყისის ავანგარდისა და "სამოციანელთა" ევრლიბრის გამოცდილება. გარდა ამისა, საკმაო ნაწილი სამპოთა პერიოდში აკრძალული ნაწარმოებებისა ამ დროისათვის უკვე გამოქვეყნებული იყო" და ლიტერატურული პროცესის მომანილითა მიერ აქტიურად ხდებოდა მათი ათვისება; მოხდა არა მხოლოდ ფორმის განახლება, არამედ პრობლემატიკის პრინციპული გამდიდრებაც: ახალი თაობის ავტორთა პირველი გაერთიანებდა დაკავშირებული იყო თვითგამოცემით ჟურნალ "იასპართან" (1988-1989). გამოვიდა მხოლოდ ორი ნომერი, მაგრამ ის სწორედ მან შეკავშირა ახალგაზრდული ქართული ლიტერატურის საუკეთესო ძალები და იგი აღმოჩნდა შემდგომი ლიტერატურული პროექტების პროტოტიპი.

ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა XX საუკუნის მეორე ნახევრის ამერიკული კულტურა და ლიტერატურა. 1980-იანი წლების მიყოფი ნახევრამდე, თუ არ ჩავთვლით ედგარ პოსა და უოლტ უიტმენის პოეზიას და ფოლკნერისა და ჰემინგუეის პროზას, ამერიკული ლიტერატურა ქართულ ლიტერატურაზე არსებით ზეგავლენას ვერ ახდენდა. ბიტნიკების დიდმოღვა და ჰიპური მოძრაობა უფრონი იყო და ახალგაზრდულ კულტურაში გამოხატებოდა მხოლოდ გარეგნულ ფორმებში - გრამდ თმებსა და ჯისებში.

1950-1960-იანი წლების ამერიკული ქათეტიკის პირველი პოპულარიზატორი გახდა დავით ჩიხლაძე (1962, ამავედ ცნობიერს ამერიკაში). ის თარგმნიდა გინზბერგის და კერუაკის ლექსებს, სიუზან სონტაგის ქისტიკას და ა.კ. გარდა ამისა, პირდაპირი კონტაქტი შეიძინა ბევრ თანამედროვე ამერიკულ ავტორთან და გამოცემულთან, ამ პროცესში რთავდა ქართველ ავტორებს და მთარგმნელებს, ერთი სიტყვით, მან მოახერხა ამერიკულ სალიტე-


რატურო და საგამომცემლო სამყაროში გზის გაკვლევა რუსული "ბუფეტილი ზონის" გარეშე. უფუნბრევა, ეს ორიენტაცია აინტელა როგორც მის მსოფლმხედველობაზე ასევე პოეზიაზე. მაგალითად, ერთ-ერთ განმსაზღვრელ სულიერი ლიტერატურულ მისთვის იქცა აღმოსავლური რელიგიები - ბიტნიკებისა და ჰიპების კულტურული თვითგანსაზღვრის მძლავრი საშუალება. ჩიხლაძის რელიგიურობა ფორმირდებოდა ბუდიზმის, ძენ-ბუდიზმის, ინდუიზმის და კონშაინზის ქრისტიანობისათ (უფრო ზუსტად, მართლმადიდებლობისათ) უცნაური ნაზავის ზეგავლენით.

ისტორიულ-ლიტერატურული ანალიზი სამართლიანად ითხოვს ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს პირადი ეგზისტენციული რელიგიურობა, რის შესახებაც ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებში საუბარი შეუძლებელია, და პოეტურ ნაწარმოებში რელიგიური სახეებისა და მოტივების გამოყენება, რაც სრულიადვე არაა აუცილებელი ავტორის ბიოგრაფიულ გამოცდილებაზე მითითებებს (თუმცა ჩიხლაძის შემთხვევაში ბიოგრაფიული პროექციები საკმაოდ თვალნათლიანია). ეს გამოიყენა უნდა გაკეთდეს ინტონით ამ თაობის რამდენიმე ავტორის - მაგალითად, ზურაბ რთველიანიშვილის (1967) და გიორგი ბუნდოვანის (1969) - შემოქმედების შემდგომი განხილვისას. რაღაც ეტაზე რელიგიური სატყუარებისა და სიუვეტურების არსებობის გამოყენება თვალსაწირო ტენდენციად იქცა. ეს უფრომენი საინტერესოა იმიტომაც, რომ, როგორც სტატიის დასაწყისში ვამბობდით, ქართული კულტურა საუკუნეების განმავლობაში იმყოფებოდა აღმოსავლური ესთეტიკის გავლენის ქვეშ ახლა აღმოსავლეთი კვლავ შემოდის პოეტურ არსენალში, თუმცა ეს არაბული ან სპარსული აღმოსავლეთი კი არაა, არამედ ინდური, ჩინური და იაპონური. აღმოსავლური ესთეტიკის ათვისების ახალი მეთოდი ერთგვარი შემოვლითი გზაა ამერიკის გავლით.

დავით ჩიხლაძეს შეიძლება "მარადი ექსპერიმენტატორი" ეწოდოს: ის მუშაობს განსხვავებულ ფორმებში - პიკუდან სონეტებამდე. მაგრამ ძირითადად რფრენიან თუ ურფენიან ვერლებში. ჩიხლაძეს არაერთხელ უსიარბია, რომ უფერს ბანალობა და არ ემინია შიდა და მართლაც, ის პოულობს პოეზიას ბანალურში. ჩიხლაძის პოეზიის სენტიმენტალურობა კი შეიძლება დაეახსიათით, როგორც რიტუალური სენტიმენტალიზმი.

ღამის მუშტაიღში იმთება ნეონები + შეხვედრა + ბალი + ჩემი თბილისელი მეგობრები როგორც + მსოფლიო ომის ევტარები + კარლო კაჭარავა და ნიკო ცცხლაძე + მალეც ანევილი ფანჯრულია + მამუკა ცცხლაძე + სახალი სანდრო კობაური + სიურსქინდუსტრალიზმი + მე თვითონ, დავით ჩიხლაძე + ირაკლი (ლენა) ჩარკვიანი + კოტე ("დადა"(დადიანი)ყუბანიშვილი) + ქეთინო სადლობელაშვილი + რაკეტა ნასტია ხვისტიკოვა + შტერო + გელა პატიაშვილი + ქეთი მესხი სადავყო რკინიგზა + გემი + მეგი ბურჭულაძე +

მომანევიენი მარისუანა ეშაგური გალიმბით + რადიო თბილისის ცული და კარგი + მამუკა ჯუჯარძიე + 4 ვკორდი ჩვენს ინსტრუმენტებზე + გაია ჭილაძე + კობა კობაურის ნაზი გიტარა + ორი ვარსკვლავი + ოლეგ ტომჩენკო + მანანა არაბული (ფოტოაპარატი) ქეთი კაპანაძე + ორი ხე + მამაქმენი არაბობაში ვაჭა ბრუნეი ბარს გელოვი არაბობაში სამი თუთიყუში ზამთრის არაბობის შვიკის მამა ყველა ყოილი ნივთი არაბობის დიდი ზღვის ოთახში + ძველი და მოსტევილი თბილისი დაწერული დიდი კალხაძების მიერ + მივდივართ სტავროპოლსა და პილპოლის მაღალი ქარბნების შუა გამავალ ქუჩაზე + ჩანს მზე + ფესხ ვადაშანი ინდუსტრული თუთიყუის ნავაგს, ნაწუქარს და არამწუქარს + გავსხოსს + გაია ძიძუაშვილი + მოსკოვი + თურქეთი + გურამ ნიბახაშვილი



+ ვოვა ყელეზოვი + ნახტომი აფინიდან + პარაზუტი + ფეხების მოხრა + დაშვება + მუსხლივის გამართვა + გასხვდა მარჯვნივ ოდნავ მაღლა + მზის ამოსვლა + მოდის მაქანა თავახდელი მოსკოვი ან ძველი შვეიცარული წითელი ფერის + ესპანური მუსიკა + დიდი ფანჯრების გაღება დიდ სოფელში + დიდი სოფლები იცინიან დიდ ხმაზე + გაფენილია დიდი სარეხები + დიდი მიწებიდან დაეშვა დიდი ქარი + ფოხარტი + ყვაა ფონოზუმა წესი საზამთრო + ცივა თოვს + წითელი მოედანი + მოვაბიჯებთ ინდუსტრიული ნაგებზე + მზე მოგეცემა ზემოთ + სიტყვები + საყვირები + ოქრო + ხსეული + მიძვები + სიციცხლე მეგობრობა თავისუფლება.

დავით ჩიხლაძე. “4”

დავით ჩიხლაძის მეგობარი - მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე და კულტურტრეგერი კარლო კაჭარავა (1964-1994) - როგორც პოეტი, ნაკლებად იყო ცნობილი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ლიტერატურულ გაზეთ "ალტერნატივაში" გამოქვეყნდა მისი საარქივო ლექსების ორი დიდი პუბლიკაცია, ცხადია გახდა, რომ ჩიხლაძის პოეზია არ იყო, როგორც ეს ადრე ჩანდა, უნიკალური ესთეტიკური ფენომენი. ეს ორი ავტორი თბილისის, მოსკოვისა და ლენინგრადის ერთსა და იმავე ბოჰემურ-არტისტულ წრეში ტრიალებდა და ისინი ერთმანეთს ქმნებოდნენ ახალი პოეტიკის ათვისებაში. სიყვარულის, მეგობრობის, სექსუალური ურთიერთობების აღსანიშნავად და საკუთარი ფილოსოფიური განხილვების დასაფიქრებლად ისინი იყენებდნენ წერის დოკუმენტურ (ზოგჯერ მიკროდოკუმენტურ) მანერას. მაგრამ, მიუხედავად ბევრი მსგავსებისა და განვიტარების პარალელური ვექტორებისა, ჩიხლაძე და კაჭარავა უფრო ახებენ ერთმანეთს, ვიდრე იმეორებენ. როგორც მხატვარი, კაჭარავა გერმანული ექსპრესიონიზმის პრინციპებს მისდევდა და ისინი თავის პოეზიაზე გადააქონდა, რომელთაც ამერიკული პოეზიის ესთეტიკას უფრთებდა, ხოლო მისი ლექსების თემატიკა ფრადი ქართული იყო: ისტორია, წინაპართა სხივია და ა. შ.

დავით ჩიხლაძის სახელთან დაკავშირებულია ახალი თაობის ვიზუალური პოეზია. ფუტურისტებისა და დადაისტების შემდეგ ქართული პოეზიაში გრაფიკული ექსპერიმენტები მეტად იშვიათი იყო და ძირითადად ილუსტრაციული მუშევრია ჰქონდა: მაგალითად, პირამიდაზე ლექსს "სამოციანიელმა" გახატანვ ვეჯახაქემ (1932) პირამიდის ფორმა მისცა, ხოლო ხერხემალზე ლექსს - ხერხემლის" ახალი

ავტორები გამოვიდნენ ილუსტრაციულობის ჩარჩოებიდან, - თუქცა ასეთი გარღვევა ბევრი არ ყოფილა. ჩიხლაძის გარდა უნდა დასახელებდეს თემო ვეჯახიშვილი (1951), რომელიც თავის ნამუშევრებში იყენებდა ბექდვით გრაფიკას და ფოტობოიექტებს. ეს კომპოზიციები არამირდაპირი, ასოციაციური პრინციპით იყო აგებული. ბევრი მისი ნამუშევარი კონკრეტული პოეზიისა და ლექსის ნიმუშს წარმოადგენს. მის შემოქმედებაში არის მინიმალისტური პოეზიის ნიმუშებიც.

თუკი მცირე პოეტურ ფორმებზე ვისაუბრებთ, აუცილებლად უნდა ითქვას კოტე ყუბანეიშვილის (1952) შემოქმედებაზე. 1990-იანი წლების დასაწყისში მან ირაკლი ჩარკვიანიან (1960) ერთად შექმნა "რეაქტიული კლბები". ორივენი წერდნენ პოლიტიკურად აქტუალურ ლექსებს და ცდილობდნენ სხვადასხვა ხერხებით, მათ შორის ვატიკით, საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებას. შემდეგ ეს ტანდემი დაიშალა. ჩარკვიანი სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა მუსიკას და ქართული ალტერნატიული როკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურად იქცა. მაგრამ მთავარი მიზეზი, ცხადია, ეს არ არის. დრო გადიოდა და ყუბანეიშვილი და ჩარკვიანი ერთმანეთს ბაზი სულ უფრო და უფრო ცილდებოდნენ კრიტიკის ჩარკვიანის პოეზია (თუ გნებავთ როკ-პოეზია) ახლავრება სოციალურად და პოლიტიკურად აქტუალური, მაგრამ მასში მუდამაა "შარადიული თემები": სიცოცხლე და სიკვდილი, სიყვარული და ტყუპი. მისი სიმღერების დამახასიათებელი ნიშანია ექსპრესიულობა, მხივრებითა და ფიგურულობა.

ყუბანეიშვილი დღემდე ერთგულად არედა სოც-არტის, ვინაიდან მისთვის პოეზია უპირველეს ყოვლისა კომუნიკაციის, სწრაფი რეაგირების, პროტესტის საშუალებაა. ამიტომ მისი ტექსტები ხშირად რედუცირდება ორიად სტრიქონამდე ან სულაც ორ გარიბოლ სიტყვამდე. მის მიერ შეხსული პოეტური ლოზუნგები და მიმოღვებები ფრთიან გამოხატვამებად იქცევა და მთელ ბიძოლის ედება - ისინი იციან როგორც მუშებმა და პოლიციელებმა, ასევე ელიტამ. "დემოსის მდიობაზე" ყოფნაში ყუბანეიშვილის ესმარება მისივე "არტ-მანუფაქტურა": თავის "კოტესტროფებს" (ასე უწოდებს იგი თავის მოკლე ტექსტებს) ის ბეჭდავს მისურებზე, ჭიქებზე და სხვადასხვა ნივთებსა და სუვენირებზე. ვიზუალურ ეფექტს ამ შეთხვევაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს, ცხადია, სოც-არტისტიის სწორი სტრატეგიაა, მაგრამ ყუბანეიშვილის ლექსები ხშირად წააგავს იმ ხუმრობებს, რომლებსაც მზიარულთა და სახრანთა კლუბის მუჯირობებზე ვისმეტ. ყუბანეიშვილის ანა საკმაოდ ვულგარულია, მასში ბევრი ფარგული და რუსული პარანაიზიზია, ხშირად გვხვდება კალამბურები. ზოგჯერ იგი წერს რუსულად ან ინგლისურად: "Чечен вечен", "Ищу пилу", "У каждого ротика своя эротика". "Когда я ем, тогда I am" და ა. შ.

თუ შევიცდებით მასში გავცით კითხვას, თუ საიდან იღებს სათავე ყუბანეიშვილის სოც-არტ-КВН-ი, მოგვიწევს გავისინათ კოდე ერთი "სამოციანიელი" - ტარიელი ჭანჭურია (1932). ის ასევე იყენებდა სუნეს, კალამბურებს, წერდა 2-3 სტრიქონიან ლექსებს, რომელიც უწოდებდა "დანეჭილად სერანტანს". ამ პოეზიას, რომელსაც ტარიელი ჭანჭურია და გახატანვ ვეჯახაქემ ქმნიდნენ, ქართველმა კრიტიკოსებმა ირონიულ-პარიადიული სტილი უწოდეს.

"რეაქტიული კლუბის" პოეზიის განალოზების შემდეგ კარგი იქნება, პარალელურად თუ აღვწერთ ახვე დროის წარმოქმნილ მეორე გაერთიანებას, - პოეტურ ორდენს "ქრონოვალეს" ("დროის მშთანთქმებელეს"), - რომელშიც თავი განახვდა კოლექტიური კრებულით "ანამოლიანი პოეზია" (1993). ამ ორდენის წევრები იყენენ ზურბან რთველიაშვილი, გიორგი ბუნდოვანი და ამ სტატის ავტორი



შოთა იათაშვილი (1966). "ქრონოფაგიც" და "რეაქტიული კლუბი" აცხადებდნენ, რომ მათი შემოქმედების მიზანია საზოგადოებისა და თანამედროვე პოლიტიკის ნაკლებინფორმაცია ჩვენება. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ეს ორი ჯგუფი ერთმანეთს საკმაოდ კრიტიკულად უდგებოდა. სანიტრქსოა, რომ "ანომალური პოეზის" ჯგუფი, ისევე როგორც "რეაქტიული კლუბი", დამალა.

"ანომალური პოეზის" კრებულში შესული ზურბან რთველიაშვილის თითქოს ყველა ლექსი შეიძლება დახასიათდეს, როგორც ცენტრისტული. პოეტური სახეები და სიუჟეტური სფერო მიმართულია თითოეული ტექსტის ცენტრალური პერსონაჟისკენ: ეგოისტისკენ, სიმულიანტისკენ, აფერისტისკენ, პარაზიტისკენ და ა.შ. - ამავე დროს, ეს ხასიათები ნარმოდგენილი არა მხოლოდ როგორც სოციალური და ფსიქოლოგიური ტიპები, არამედ როგორც ეგზისტენციალური მტაფორებიც. რთველიაშვილს შეუძლია იყოს ერთდროულად ირონიული და ექსპრესიული. "ანომალური პოეზის" შემდეგ მისი ლექსები ესთეტიკურად სულ უფრო და უფრო რადიკალური დგება, ისინი იწყებენ ვიბრირებას. მათში უკვე ხშირად ჩანს დადასტურებული ტიპის ექსპერიმენტები. ტექსტების ცენტრისკენლობა ცენტრდინამულობით იცვლება, და მათი სტრუქტურა სულ უფრო ექვემდებარება ამ ავტორიტეტის ორგანულ ანარქისტულ იდეოლოგიას. ამ ბოლო დროს იგი თითქოსდა უფრო "მონსტრივად" გახდა, კონცეიციური ლექსების წერა დაიწყო, მაგრამ სინამდვილეში მისი ესთეტიკა კიდევ უფრო რადიკალური გახდა. ამჟამად მის ლექსებში კონტრასტულად გამოიყენება ფრაგმენტული ლექსებიდან და საგალობლებიდან - მავალითად, ლექსში "აპოკრიფი", სადაც რეჟურნი "მამაო ჩეჩენის" პირველი სიცივეები. მილიანობაში, რთველიაშვილის პოეზია, ჩიხბასის პოეზიის მსგავსად, შთაგონებულია ნონკონფორმისტული ამერიკის ესთეტიკითა და იდეოლოგიით.

გიორგი ბუნდელიანი ესთეტიკურად ბუნდელიანი ავტორია, მისი პოეტიკა თითქოს მუდამ არასაკმარისადაა გაფორმებული, რაზეც მისი ფსევდონიმაც მიუთითებს. მის ტექსტებში საღმესო ზიზღის მუდამ არ ირვევა, რიტმი არცაა, ლექსიცა უკიდურესად ეკლექტურია - სლენგიდან არქაიზმამდე, ტექსტები ხშირად გადატვირთულია პოეტურად და ოკულტური ტერმინებით, განწყობილება თვალის დახამამბებით იცვლება მისტიკურ-ამბივლენულიდან მიწერილ გამშაგებულობით. ლექსებში ხშირად გამოიყენება სიკვდილის კიორხი სიმბოლოები - ისეთები, როგორიცაა თავის ქალა ამ შორე. ბუნდელიანის შემოქმედება სინამდვილეში აღიქმება როგორც ერთი დიდი ლექსი და ცალკეულ ტექსტებს შორის საზღვრები მტად შირბობია. ამ ავადმყოფურ და მართლაც ბუნდელიან სამყაროში იოლია ბოდელიანის ესთეტიკის გაღვივების დახმავა.

"რეაქტიული კლუბის" და "ანომალური პოეზის" შემდგომ წარმოშვა კიდევ ერთი საინტერესო ჯგუფი - "ბებერი პოეტების ორდენი". ამ გაერთიანების შექმნის მომენტში მისი მონაწილეები ძალიან ახალგაზრდები იყვნენ - როგორც მქვენებია, ამ სახელწოდებით მათ სურდათ ნახი გაესკათ მათში არსებული კლასიკოსი ოსტატების თვითშეგრძობისა და პოზსათვის. ორდენი ოთხი ავტორისაგან შედგებოდა: რეზო გვითაშვილი (1976), ალექს ციტრუშვილი (1974), გახა ჭაბაშვილი (1975) და ნანა აკობიძე (1974). მათ გამოაქვეყნეს კრებული "Airfile" (1997). პირველმა სამ-მა წარმოდგენით გააახალგაზრდა სიმბოლიზტების პოეზია: ნახმარი და თითქოსდა უკვე გაცვეთილ ფორმები ახალი ლექსიკით შეაფარა, შექმნეს საკუთარი მხატვრული მითოლოგია და სივარული ახდენდნენ "ცისფერინების" პოეზიის პაროდირებას. რაც შეეხება ნანა აკობიძეს, ის თავიდანვე ვერ ეწერებოდა ორდენის კონცეფციას: "სიბერის", ანუ ნეოკლასიციზმის არანაირი ნიშანი მის ლექსებ-

ში არ იყო და არ არის. მისი ენერგიული ვერლიბრები ფსიქოლოგიურად გულწრფელია და სპეციფიკური ქართული დრამებიზაა სავსე. აკობიძე უფრო მოიაზრებს ქართული ფემინისტური პოეზის კონტრასტს, რომლის შესახებაც საუბარი იქნება სტატისის შემდგომ ნაწილში.

გავეციეთ რა ლიტერატურულ გაერთიანებათა ისტორიას, ჩვენ ცოტა არ იყოს გადავუსწარიო მოვლენებს. ამიტომ ვერის უნად დაბეზრდებით და დავასახელოთ ის რამდენიმე ავტორი, რომელთაც რადიკალური ექსპერიმენტები დაიწყეს ჯერ კიდევ 1980-იან წლებში.

ერთ-ერთი მათ შორის - დათო ბარბაქაძე (1966, ახლა ცხოვრობს გერმანიაში), რომელიც 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან ცნობილია, როგორც შინაგნულიანი ნოვატორი და კულტურტრეცერი. შემოქმედებითი სინიზმის დამნაწილად დედმდე იგი მიზანმიმართულად იცვლეს ენის სტრუქტურას. მტად მრავალფეროვანი იყო და პოეტიკის რამდენიმე პრინციპზე იდგა ბარბაქაძის პირველი ნიჭი "მოვლამძირობის შემდგომას" (1991). სწორედ ენაა მისი პოეტური და პროზაული ტექსტების შთაგონება და მიხედვით პერსონაჟი. პირველი, რაც თვალში მოგხდებოდა ბარბაქაძის ნაწარმოებებში - ესაა უცნაური სინტაქსი და ხელოვნური გრამატიკა. ანოკონების სტილი და სიტყვიერი კონსტრუქციები შეესაბამება არა ბუნებრივ, ტრადიციულ სინტაქსს, არამედ ახალს, რომელიც აქამდე უცნობი ნებისმიერ მოქმედებს. ცხადია, ასეთი ტიპის რევოლუციური ექსპერიმენტები შეუძლებელია სემიოტიკისა და სტრუქტურალიზმის მეცნიერული აპარატის კარგად ცოდნის გარეშე. გარდა ამისა, ბარბაქაძის ლინგვისტური დეფორმაციებისათვის შინაგნულიანი უცხოენოვანი პოეზიის გამოცდილება - უპირველეს ყოვლისა რუსულის (ლუბენსკოვი და ობერუბტები) და გერმანულის (მორგენშტერნი, შანს არბი, პაულ ცელანი).

ბარბაქაძის ტექსტებით თითქმის ყოველთვის ძალიან გრძელა, ხანდახან ისინი ხილვინურად გაწვდილის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებენ. მათი სტრუქტურა ზოგჯერ ძალიან ზუსტია და მათემატიკურად თვალსაჩინოა, ყოველი ზოგჯერ მორთოლავია - "ზომა, რიტმი, სინტაქსი, ყოველ სტრიქონში იცვლება. ახლა უკვე ეს მხატვრული ხერხები - გამოცვეთილი სტრუქტურულობა ან რიტმისა და სინტაქსის ხშირი ცვალებადობა - ბარბაქაძის უმუდებ მეორედუად აღიქმება.

მან, ვინც იცის კომუნისტორიკა, დაინახავს, რომ ბარბაქაძის ბეგერი ლექსი მათემატიკის ამ დისციპლინის დახმარებითაა დანერგო. მავალითად, მისი ერთი 10-გვერდიანი ტექსტი წარმოადგენს ვარიაციებს სტრიქონზე:

მართალია ადამიანი არ ექვემდებარება განმარტებას მაგრამ არც განმარტება ექვემდებარება ადამიანს

ლექსი 31 ნაწილობაგან შედგება და თითოეულ მათგანში ეს ორსტრიქონი მეორედუად სამჯერ. ვარიანტები ერთმანეთსაგან განსხვავდებიან მხოლოდ იმით, რომ ყველგან სხვადასხვანირადაა დახმული ბრჭყალები: ერთ შემთხვევაში ბრჭყალებშია "ადამიანი", მეორეში - "არ ექვემდებარება" და ა.შ.

ასეთ კონსტრუქციებს, ისევე როგორც ბეგერ სხვა თავის ლექსს, ბარბაქაძე უწოდებს მტადტექსტებს. ბარბაქაძე მტად ნაყოფიერი ავტორია და მის შემოქმედებაში არის როგორც განსაკუთრებული მიღწევები, ასევე ჩიხბის შესული ექსპერიმენტები.

თუკი ესაბორობოთ წარმეტყულებ ფორმალურ ექსპერიმენტებზე ქართულ პოეზიაში, აუცილებლად უნდა დასახელდეს ნინო დარბაისელი (1961). მისი ლექსი "ჩემი სიყვარულის პწკარედი" დანერგო "რომელიცა" ენიდან გაცუთებული ზნკარედილი თარგმანის ფორმით.

ჩემი სიყვარულის პნკარედი

დაშუმოდეგომდა (დადგა შუმოდეგომა).

რა ლამაზი ხარ (შენ),
ვისაც (ახლა) ჩემი სიყვარულის ცოლი

(შუღლედ) გეკია!

როგორ მოდიხარ ხალხში (ადამიანებში) -
- ამაყი და ოდნავ თავდახრილი,
როგორც ვარდი (უკვე) მოწყვეტილი

მოდი, დავანყოთ ეს ჩანთები,
სადმე ჩამოვსდეთ,
და მიაბე,
როგორ არის (ის),
ვინც მე და შენ შეგვეერთა (დაგვაკავშირა)...

ვინ ღელვა ნავეს,
ესე მიმოყრის ფესვსაცემლებს შინშემოსული?
ისევ უყვარს უშუქრო ჩაი?
ისევ ბრახდება, ბიბილოზე თუ ქებთან (შეებები)?
არ მიგონებს? (არ ვაგონდება?)

მერე წავიდეთ ჩვენ-ჩვენი გზით (მიმართულებით),
ვიართო ასე,
ვიდრე ყველანი
საბოლოოდ
იქ (?) შევიყვებით (შვეერთდებით, ერთნი გავხდებით).

წინო დარბაისელი შესანიშნავი ლიტერატურათმცოდნეა და მან post factum დაწერა ამ ლექსის სკრუპულოზური გარჩევა. ეს ასალ ქართულ პოეზიაში ამ სახის პირველი პრეცედენტი იყო, თუმცა დასავლურ ტრადიციაში ასეთი ავტორველეკუსური ტექსტები დანტეს ("ახალი ცხოვრება") მოდიანდაც ცნობილი. დარბაისელის შემდგომ განდა რამდენიმე მსგავსი ავტორისეული "თვითგარჩევა" - მაგალითად, ეს ფორმა გამოიყენეს დათო ბარბაქაძემ და პოეტმა, პროზაიკოსმა და კრიტიკოსმა მარსიანმა (1953). წინო დარბაისელი ცოტას წერს, მაგრამ ყველაფერი, მის მიერ დაწერილი, ლაკონური და სრულყოფილებამდე გარანდულია. იგი განათლებულ ევროპელ პოეტთა ტიპის წარმომადგენელია.

დარბაისელის გარდა, "სამოცდათთანელებსა" და "ოთხმოციანელებს" შორის არის რამდენიმე გამორჩეული ავტორი, რომლებიც მუშაობდნენ კლასიკურ კონვენციონალურ ლექსშიც და ქართული პოეზიისათვის უკვე ორგანულ ვერლობრივც.

თამაზ ბაბაღლა (1958-1987) 28 წლის ასაკში ავტოკატასტროფაში დაიღუპა, თუმც მისაწრო დიდი პოეტური მემკვიდრეობის დატოვება. ის ბევრს თარგმნიდა იტალიურიდან ყველა ეპოქის ავტორებს - პეტრარკადან ეუვენიო მონტალემდე. შესაძლოა, ამიტომაც შეიძლება იყო მისი ვერლობრივი და რითმინი ლექსები განწყობილებით სამხრეთევროპული: შიანი, სიცოცხლისადმი სიყვარულითა სასეც და ამავე დროს სიკვდილის მუდმივი წინათგანწინობით გაჯერებული.

ბადრი გუგუშვილია (1951-1996) დაწერა ბევრი ხაზგასმულად ურბანისტული ნაწარმოები - მაგალითად, პოემა მეტროპოლიტენზე ამ ლექსები შექნებარე სახლებზე: ყოფილი "პირამიდი" ამ ლექსებს წერდა საქმის კარგე ცოდელი. თუმცა ეს ურბანისტული ტექსტები მისი შემოქმედების ყველაზე ტრადიციული ნაწილია. სულით გუგუშვილი ნამდვილად ავანგარდისტი იყო და პოეტური ექსპერიმენტების სხვადასხვა ფორმებს მიმართდა - კონკრეტულ და

ვიზუალურ პოეზიას, ქმნიდა უცნაურ სიტყვიერ აბსტრაქციებს... სიცოცხლის ბოლოს მან შემოქმედებითი გეზი პრინციპულად შეცვალა და რელიგიური პოეზიის წერა დაიწყო. გარდაცვალება სამწინადა - წიოელ პარასკევს თავი ჩამოიხრჩო.

დაიღია ბედიანდის (1952) ვერლობრივი ხშირად მეტად საგნობრივი და თვალსაჩინოა: იგი განწყობილებებს და ლექსის "შესავს" ქმნის ნივთების და ზუსტი დეტალების განმეორებადი დასახლებითა და აღწერით, და ყველაფერ ამას სხვადასხვა ემოციონალურ კონტექსტში ათავსებს. მის ლექსებში დიდი შინაშენილობა აქვს მონატურ გადასვლებს, რომლებიც არ ყვირიან, მაგრამ ხელს უწყობენ სიუჟეტის ფორმირებას.

გივი ალხაიშვილი (1944) ლექსებში აღწერს სიტუაციებს, რომლებიც მომადებულა იმისათვის, რომ მკითხველში აღძრის ფილოსოფიური მედიტაციისა და სამყაროსადმი მჭვრეტელობითი დამოკიდებულების სურვილი. ზოგჯერ მის ტექსტებში ჩნდება მეტისმეტად აბსტრაქტული პასაჟები, მაგრამ ავტორი ახერხებს ხოლმე ცოცხალ და ხელშეასებ მტკავროულობასთან დაბრუნებას.

ელა გოჩიაშვილი (1956) ავტორია მისტიკური და დრამატულად ეფეტური, ხოლო ზოგჯერ სკანდინავიური ნაწარმოებების. მისი ლექსები იმდენად ჟღერადია, რომ ხელად იბეჭდება გონებაში.

მოსახლენის მოლოდინი მზარავს, მტკივა ჩემი ამღერეული გენები, მედეღეინ, ნუ დატოვებ კუბოს, მედეღეინ, ნულარ მოქმედებები. ჩემი სული ლოდებზეა დადენილი, მეუღლება ნესტიანი ხატის, მე მწუხარე სუფელი მაქვს, მედეღეინ, ეკეტიკული ფიფორების მსგავსი. ე. გოჩიაშვილი. "რომეტიკ აშურის მოწოდება". თარგმანი ვ. სარიშვილის

თუკი მისტიკას გამოვავლებთ, გოჩიაშვილის პოეტური სისტემა ბევრ რამეში გავს გულა კიკლაშვილის (1961) პოეტურ სისტემას.

ომარ თორმანაული (1959, ამჟამად ცხოვრობს საფრანგეთში) და ბათუ დანდია (1960) ყოველდღიური ყოფის ლირიკული აღწერის ოსტატები არიან. ორივენი სოფელში გაიზარდნენ. ალბათ სწორედ ამიტომაც, რომ როცა ისინი ქალაქზე წერენ, თითქოსდა დღებგენ მას ნახი, პასტორალური საუბრავები. მათ მიერ შექმნილი ქალაქის ხატი საინტერესოა შევადარით გიგი სულაკაურის (1953), ანდრო ბუაჩიძის (1957) და ზაზა თვარაძის (1957) ლექსებში არსებულ ქალაქის ხატს. სხვაობა თვალნაღვლივია: სულაკაური, ბუაჩიძე თუ თვარაძე წერენ თავთან ქალაქზე, თითოეული მათგანისათვის მათი ქალაქი სამყაროს ორგანული და მთავარი ნაწილია. მეტეც, აღწერილი ტერიტორია შეიძლება შევიროდეს იმ უბანზე, სადაც ცხოვრობს ავტორი. მაგალითად, ბუაჩიძე უკვე ათეული წლებია, წერს თავის უბან დილომზე, დილომის ხიდზე, რომლის გადავლაც უნდაც ხოლმე ღალამპობით, და ა.შ. საერთოდ, ბუაჩიძის ახასიათებს დემონსტრაციული პერსექუვიაციები. ის ლექსიდან ლექსში იმეორებს ერთხა და იმავე მეტაფორებს, ეპითეტებს, სიტუაციებს, განწყობილებებს, სიტყვებს... თავისი აკვიტებული იდეებისთვის აქცენტის გაკეთებით ბუაჩიძე თითქოს ამბობს, რომ ასეა მოწყობილი ყველა ადამიანის შინაგანი სამყარო, ისინი უბრალოდ ცდილობენ ამას დამალვან და ჩვენებს, რომ მათი შინაგანი ცხოვრება მრავალფეროვანია. ამ უსასწოლო, გარგეზულად ერთფეროვან მრავალციგებში ბუაჩიძე ახერხებს შექმნას ახალი პოეტურობა.

თვარაძის პოეტთა ერთი შეხედვით ძალიან ნააგავს ბუაჩიძის პოეტიკას, მაგრამ მათ შორის არის არსებითი სხვაობა: თვარაძე გაცილებით ხშირად მიმართავს სტილიზაციას და პაროდის, მათ შორის ქრესტომათიულ კლასიკას. მაგალითად, თვარაძის ერთ ლექსში მოქმედებს ლურჯი მერანი - კომიკური ძმა ბარათაშვილისეული მერანისა და გალაკტიონის ლურჯვა ცხენების. იგი მოუხმებდა მირბის ქალაქში ახალ კორპუსებს შორის. თვარაძის ბევრი ლექსის ეფექტს ბადებს კონტრასტი მტკვრელების სახუმარო-პაროდულ ტონსა და ამ ლექსებში არსებულ სამყაროს ღრმად ტრიაგულ ხედვას შორის.

კვლავ მივუბრუნდეთ 1990-იანელითა თაობას. ზვიად რატიანი (1971) ერთნაირი წარმატებით მუშაობს როგორც ვერლიბრში, ასევე ტრადიციულ ფორმებში. მას განსაკუთრებული ნიჭი აქვს: მის ლექსებში "გადამუშავებულია მასალა", ანუღული სულ სხვადასხვა პოეტების ტექსტებიდან. აქ აღუზიგებ არაა ლაპარაკი: ალუზიები და რემინისცენციები რატიანთან თითქმის არ გვხვდება, ის "ციტირებს", თუ შეიძლება ასე ითქვას, ლექსთწინისა და შიგნად გამოადილებსათან დამოკიდებულების სხვადასხვა ტიპებს.

ასათან რატიანი სრულად არ გამოიყურება მეორადად. მისი პოეტიკის აღწერა საკმაოდ რთულია: შეუძლებელია იმ ავტორების უხუტად დასახტლება, რომლებიც გლანსზღერავენ მის ძირითად ტენდენციებს. თუმცა, ცხადია, რომ იგი "დასაგულია" - როგორც შინარსობრივი, ასევე ფორმალური თვალსაზრისით. ისე კი, ალბათ მაინც შეიძლება ირი ავტორის გამოყოფა, რომელთანაც გარკვეული თვალსაზრისით ახლოა რატიანი: ცენი არიან რობერტ ლოუელი და იისოდ ბროდსკი. ბოლო რიგში "ჯებისა პაერი" (2000), და შემდგომ ლექსებში რატიანი თავისუფლდება ფორმირებული ემოციურობისაგან, რაც დამახასიათებელი იყო მისი ადრეული შემოქმედებისათვის. მისი ახალი ტექსტები ფორმალურად გამაღამინებული პოეზიაა არანაბალური ქვეტექსტებით, სიუჟეტური ხაზებით და შთამბეჭდავი ხატოვანებით.

გიორგი ლობჯანიძე (1974) თანამედროვე საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო აღმოსავლეთმცოდნეა. მან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მკითხველზე თავისი თარგმანებით ირანისა და არაბული ქვეყნების ეპოსური და თანამედროვე პოეზიიდან. ლობჯანიძის თარგმანებმა დაამსხვრა სტერეოტიპული წარმოდგენები თანამედროვე აღმოსავლურ პოეზიაზე, რომელსაც აქამდე ქართველი მკითხველის თვალში არანაირი შეხება არ ჰქონდა დასავლური კულტურასთან. ახალ ირანულ პოეზიაში ვესტერნიზაციის ფენომენი, ალბათ დაგვიხარება გაცივით ის პირობებში, რომელთაც წყვეტს ლობჯანიძე თავის ლექსებში. აღმოსავლური დეკორატიულობისა და ვერსიფიკაციული ფორმების მიღმა მასთან მუდამა დასუსტებულიური პირობებში, პირველად გააზრებული ეგვალეციით და ამჯეროდ მთელი მსოფლიოსათვის ატყუალური.

შალვა ბაკურაძის ცსთეტიკა ფორმირდებოდა XX საუკუნის ფრანგული პოეზიის - აპოლინერის, სენ-ჟონ პერსის, რენე შარის - და ამ პოეზიის შესანიშნავი მთარგმნელის, ვივი გეგექორის (1933-2000) გავლენით. გეგექორმა გერლიბრის წერა სტურუსა და ხარანაულზე ადრე დანიყო, მაგრამ მკითხველზე ძლიერი შემოქმედება ვერ მოახდინა და თითქმის შეუმჩვენებელი დარჩა. გეგექორის ლექსები იმდენად რაფინირებული და რიტმულად და სინტაქსურად მოწესრიგებული იყო, რომ არაობრივ არაგრივალურობას ბევრი ბუნებრივად აღიქვამდა. მიუედი თავისი ნოვატორობის მიუხედავად გეგექორის უწარი ჰქონდა, ყოფილიყო საორად პარმინისა.

პარმინის პოეტიკა ბაკურაძის მას შეუძლია წეროს იმზე და ადამიანურ დრამებზე, მაგრამ მის ტექსტებს ახ-

სიათებს აპოლონური თავშეკავება. ის აღწერილს სიყვარულს წინადა ენერგიით მოსავს.

დავით რობაქიძის (1975) კომიკური მეტაფორები გადასტებული უზარმაზარი ენერგიით. მისი მინიატურული ლექსების ნაკითხვის შემდეგ იუმორის ქეშპარტ სტიქიასთან შეხების განცდა რჩება. ეს ლექსები გვაჩვენებს, რომ პირველადი, "წმინდა" იუმორი, ანეკდოტურობის, ვულგარულობის, უჩამსინის ყოველგვარი მინარეკვის გარეშე ისევე პოეტურია, როგორც ადამიანური ყოფის სხვა, სერიოზული ფენომენი. შთაბეჭდილება, რომელსაც ტოვებს რობაქიძის პოეზია, ნააგავს შინს არას ასეთივე წმინდა იუმორისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას.

XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოეზიის ისტორია საკმაოდ ბევრ პირველ ელასის პოეტ ქალს ითვლის. 1990-იანი წლები და 2000-ანი წლების დასაწყისიც მდიდარია ქალების მიერ შექმნილი შესანიშნავი პოეტური ნაწარმოებებით. ოლინდე, ახალმა ავტორებმა უფრო ღიადად ეფენიშხმების გარეშე დანაცეს თანამედროვე სამყაროში არსებულ ქალთა პრობლემებს დაპარაკი. მტკიც, მათი აუცილებელი შატფრული ხერხი ხშირად უყვე პიპერბოლიზაცია კია. შეიძლება ლაპარაკი ქართული ფემინისტური პოეზიის წარმოშობის შესახებ, თუმცა ქართველი ქალის გულში გატარებული დასავლური ფემინისტური იდეოლოგია მდიდრდება ახალი, ზოგჯერ კი მეტად ორიგინალური ინტერპრეტაციებით.

სექსუალური თემატიკის აღწერისას ყველაზე პირდაპირია დიანა ვანჰანე (1966). მისი გენიანი ტექსტების ყოველ სტრიქონში იგრინობა მსოფლმხედველობა: ქალი უნდა იყოს სექსუალურად რეალიზებული, უაძისოდ ცხოვრება ნაელოვანია. თუმცა მისი მეორე პრინციპი ერთგულება.

ერთი ცხვირი მაქვს,
ერთი ნიკაბი,
ერთი შუბლი,
ორი ლოყა.

რვა ტუჩი მაქვს,
ცხრა ყური,
თორმეტი ყურის ბიბილი,
ოცი ჰუტუ,
ოცდაერთი ტუტუსთავი.

ჩვიდმეტი ჰქიბი მაქვს,
სამოცდაათიხი დუნდული,
ასი თითი და
ათასი ვაგინა.

და ეს ყველაფერი შენთვის.

პიპერბოლიზაციის ეფექტი თვალნათლივია: ქალს, რომელსაც ათასი ვაგინა აქვს, ალბათ თასავტერ ეზრდება სექსუალობაც, მაგრამ მოუხედავად ამისა, ის ერთგულ რჩება, ანუ ერთგულების პოეტუციალი მასში უჩახვრად მაღალია. ფემინისტური პოეზიისათვის თემის ასეთი მობრუნება საკმაოდ მოულოდნელი ჩანს. ყველა თავის ლექსში დიანა ვანჰანის გმირი მიმართავს თავის უცვლელ შეყვარებულს, ვინცე გ-ს, ხოლო თუკი მას მიუღებოდა არ ასახვლებს, გულსინმობს მუდამ. ვანჰანის პიპერბოლიზება და პიპერბოლიზმი თანმშობაში მოდის ლაკონურობისაგან მის სწრაფვასთან და ნიუანსებამდე დაშუქებული ფორმებითან.

რუსულად კიაშპორის (1957) ლექსების მთავარი პრობლემა ქალური რუტინაა. ის ქვრივი და ხუთი შვილის დეადა ყოველდღიური ქალური ყოფა მისთვის ხუთი თითითი ნაცნობია, მისი გმირი აღწერს ქალის საქმიანობას - რეცეპას, დალაგებას, საჭმლის მომზადებას -

აღწერს ერთგვარი აგრესიით, მაგრამ ამ ცველადრისადმი დამოკიდებულება გაორგებულია და ეს აგრესია ხანდახან კაიშაურის ლექსებს პოზიტორ ენერჯისაც ანიჭებს.

ზღაპრის გმირი ვარ, ქალღვრას და რი
და ტანის ნაცვლად ცოცხზე ვარ მდგარი.
მკვრიდი მაქვს ქალის, თავი და მკლავი - ძალია,
ტყავი.

ცხეცვა და ენაყავ, ვამტკრეც და ვებრტყავ
ვაშაზედ საჭმელს.

შვილებსაც ვაჩენ - როგორც ჩემს სასჯელს.
ენრიალე, ვწავლობ და სისხლის ფსად
ჩემი ცოცხიდან ყვავილებს ვაფრენ -

ვებარებ ასფალტს.

მერე კვლავ ცხეცვაზე ვრეცვად და ცხეცვა
და ცოცხზე მდგარი... ვამტკრებ ქალი
რ. კაიშაური. "ალტერნატივა"

რუტინა ემოციონალურად და იდეოლოგიურად ტრან-
სფორმირდება: კაიშაურის ლექსებში სამყარო მაგური
ხდება. კაიშაურის პოეზიისათვის დამახასიათებელია მყო-
ლოდნელი სახეები. ის ხშირად იყენებს უზრალო რითმებს,
მაგრამ მასფრ და მკვეთრ ტონს ამ უზრალოებასთან ერ-
თად იგი ახალი პოეტური ენის ფორმირებასთან მიჰყავს.

მაია სარიშვილის (1968) ლექსები ასევე საკვანა ორიგინ-
ალური სახეებით, თუმცა კაიშაურთან შედარებით სარიშ-
ვილის ტექსტები უფრო რთული და ასოციატორია. ქა-
ლური პრობლემტიკა მასთანვე დომინირებს, მაგრამ, ვაჩ-
ნანის ამ კაიშაურის ლექსებთან განსხვავებით, ნარმოდ-
გენილი არაა კონკრეტული სექსუალური ამ ყოფითი სიუ-
ჟეტების სახით - პირიქით, ეს პრობლემტიკა აყალიბებს
მოსოფლმედიკალიზაციას. საერთოდ, მატერიალური სამყაროს
ნიშნულ მის ლექსებში საკმაოდ პირობითია: ისინი საჭი-
როა მხოლოდ იმისათვის, რათა აქცენტუ გაკეთდეს დემა-
ტრიკალიზებული სულიერი მდგომარეობაზე. მისი ერთა-
დერთი კრებულის სათაურად - "ცხადის გადაჯარვა" (2001)
- ზუსტად მიუთითებს მისი პოეზიის ამ თავისებურებაზე.

სარიშვილის, როგორც პოეტის ფორმირებაზე გადამ-
წყვეტი ზეგავლენა მოახდინა დიდმა ამერიკელმა პოეტმა
სილვია პლათამ. პლათამ გაავლენა მოახდინა კიდევ ერთ
სარიშვილ პოეტ ქალზე - ლელა სამინაშვილზე (1977), რო-
მელიც ამავე დროს მუდმივად თარგმნის პლათის ლექსებს.
თუკი მაია სარიშვილისა და სილვია პლათის პოეზიას შო-
რის გადახასიათებით შემოიფარგლებოდა კონკურენტი ექსპრესი-
ისა და ფილოსოფიურ-ესთეტიკური ნარმოდგენების მსგავ-
სი სახისათვის, სამინაშვილი ხანდახან პირდაპირ აუღიროებს
ამერიკულ პოეტზე მეტიც, თითო იმ ლექსებშიც, სადაც
პლათის სახელი პირდაპირ არაა დასახელებული, პლათის
პოეზიისა და მისი ცხოვრების ტრაგედიულ ისტორიის
მკოდნე მეთხველი ხშირად იგრძნობს შესატყვის კონ-
ტრასტს. არადა, სამინაშვილის ლექსები შესამჩნევად ნაკ-
ლებად დემპროსიულია, ვიდრე კაიშაურის და სარიშვილის
შემოქმედება. სამინაშვილის პოეზიაში არ იგრძნობა ქალის
გადაწყვეტილი კონფლიქტი გარკვეულმანერაზე; მეტიც,
მის ლექსებში არცთუ იშვიათია ბრძოლის პათოსი და აზ-
რი იმის შესახებ, რომ ქალთა სქესი არც ისე სუსტია.
მილიანობაში მისი შემოქმედება შეიძლება დაეხასიათოს,
როგორც ყველაზე ზომიერი "ახალ ფემინისტურ პოეზია-
ში"; სამინაშვილის ლექსებში არაა რადიკალური ემანსიპა-
ციური გამონათქვამები ამ მკვეთრ დემპროსიული ტონებით.

ეკოლოგიური ცნობიერება ნარმოდგენილია თუნდა მე-
ტიშვილის (1976) შემოქმედებაში. თავის "ეკოლოგიურ
ტრიპტიქში" (1999) მან შესლო გვერდი აეყვია ზედმეტი
ინტელექტუალიზმისთვისაც და გაუზრალოებისთვისაც (თუ
შეიძლება ასე ითქვას, "პოპა აქტუალისთვისაც"), და აღ-

წერა სულის გამსაკუთრებული მდგომარეობა, როცა გლო-
ბალური პრობლემების გაცნობიერება პირადი, ექსპლან-
ციალური განცდების შედეგია. კოტე ყუბანიევილი წერს
თბილისის სანაგვე ყუთებზე თავის ლექსებს ენრიმ "keep
your country tidy" - და ახელი საქმიანობა საკმაოდ მხე-
გონიერული და ეფექტურია. მაგრამ როგორც თუნდა ბე-
ქიშვილის ტექსტიდან ჩანს, შესაძლებელია სხვაბარი ეკო-
ლოგიური პოეზიაც - ქალი-პოეტის მიერ შექმნილი, რომ-
ლისთვისაც დელიბირევი გრძნობაა გადამწყვეტი და აქე-
დან გამოდინარე, ყუბანიევილისაგან სრულიად განსხვ-
ავებით ხდება თანამედროვეობის პრობლემები.

ქრონოლოგიურად ბოლო აღმოჩენა ქალთა პოეზიაში
სიოევი კვანტალიანია (1977), რომელმაც გამოაქვეყნა ორი
ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული ციკლი - "პარანო-
იები" და "მულტიპლიკაციები". "პარანოიები" კვანტალია-
ნი მესამე პოეტი ყველა მტრად პირველ ისტორიებს - ოჯ-
ახურს, კრიმინალურს, სუციდალურს - და ეს ნაგავს
მოკლემტრატიათი ფილმებს "ატრანსქინონის მონტაჟით".
"მულტიპლიკაციები" იგი წერს პირველი პირით და სა-
კუთარი სტილის აგნებს, რომელსაც თქვესმორბოულად შე-
იძლება ეწოდოს "განბანაქული სულიერება". "მულტიპლ-
მების" რელიგიურ სიმღერათა (კვანტალიანი ამ ტექსტებს
"სიმღერებს" უწოდებს) გმირი მიმართავს იესოს, ისინებს
ბავშვობისდროინდელ ეროტიზულ ფანტაზიებს, ქება
გენდერული ინდენტობის პრობლემებს, ასინებს ხალხურ
ზღაპრების პერსონაჟებს. როცა კვანტალიანის ლექსე-
ბი რუსულად ითარგმნა, ერთ-ერთმა ლიტერატორმა ისი-
ნი გაბრიელა მისტრალის ნაწარმოებებს შეადარა.

ახალი ტექნიკები და საკომუნიკაციო საშუალებე-
ბი, რამაც უკანასკნელ ათწლეულებში ჩვენი ცხოვრება
შეცვალა, ასევე ახდენს გავლენას ქართულ პოეზიაზე ბუ-
ნებრივია, რომ ისინი ხშირად მოისხეიბიან სხვადასხვა
ავტორთა ლექსებში, მათ შორის, როგორც ადამიანის ინ-
ტეგრირი, პირადი სივრცის დეფალბები. მაგრამ, ამ სფერო-
ში ყველაზე რადიკალური ექსპერიმენტი პასა ვანიკაშ-
ვილამ (1974) განაზოცილა: მის ლექსებში ახალი ტექნი-
კა ფირი ამ ინსტრუმენტუ კი არაა, არამედ ახალი ლირი-
კული ადრესატორი. ვანიკაშვილი სატრეფილო ლექსებს უწ-
ერს კომპიუტერს, მობილურ ტელეფონს და ა.შ. ესთეტიკ-
ური თვალსაზრისით ვანიკაშვილის ტექსტების მიმართ
ბევრი შენიშვნა შეიძლება იყოს, მაგრამ მისი მეთოდი იმ-
დენად უწყველია, რომ იგი აღნიშნავს ნამდვილად იმსა-
ხურებს.

შევეცადით შედეგების შეგამებას. ჩამოთვლილმა ავ-
ტორებმა, რომლებიც მეტწილად რეინტერპრეტირენ არ-
ნი დასავლური ესთეტიკაზე, შეიძლება შექმნან შთაბეჭდი-
ლებას, რომ ქართული პოეზია დღესათვის უკვე სრული-
ად ვესტერნიზებულია. ეს ასევეა და არცა ასე მართლაც,
დედი ნაწილი მაღალი და საშუალო დონის ქართული პო-
ეზიისა იქმნება ევროპულ-ამერიკულ ლიტერატურათა გავ-
ლენით - ამ ლიტერატურებში არსებულ ახალ კომიონი-
თა ამ მათში ყველაზე მეტად გავრცელებული პრობლე-
მადამარებით. დასავლური პოეზიის სხვადასხვა მოდელები
- თუნდაც ზედამოტრეფი დონეზე - ასე თუ ისე ცნობილია
მთელი ინტელექტუალური ლიტერატურული სამსახურ-
დობისათვის. მაგრამ ქართულ პოეზიის თუ უფრო ღრმად
გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ მასში ტრანსფორმაციის
მედლაური პროცესი მიმდინარეობს.

სტატის ამოჯანა იყო ქართველ და უცხოველად პო-
ეტთა შორის პარალელების მოძებნა, ამიტომ იმედია, ეს
მიმოხილვა არ შექმნის შთაბეჭდილებას, რომ ქართული
პოეზია პროვინციული ამ ეპოქურიათა მის საუკეთესო
ნიმუშებში არაა არც ერთი და არც მეორე.

და ბოლოს. რა უკეთი აღმოსავლურ პოეზიის ამ ახ-
ალ კონტექსტში? დღეს, როცა დასავლური ტიპის პოეზია

გარკვეულწილად სტანდარტული ხდება, აღმოსავლურ ტრადიციებზე შექმნილი პოეზია შეიძლება გახდეს ესთეტიკური განახლების საშუალება და დიდი პოპულარობაც კი მოიპოვოს. ქართულ პოეზიაში ასეთი მიდგომის მაგალითია რატი აბალოხიელი (1977), რომელიც ასაკის მიუხედავად უკვე ძალიან ცნობილია და შიამშეჭდავი დეკლამირებით ხშირად გამოდის პუბლიკის წინაშე. მის ტექსტებში საკმაოდ იგრძნობა დასავლურ ლიტერატურათა კითხვის გამოხედვება, მაგრამ მათი სახე - ორნამენტულობა, არქაიზმები (შუა საუკუნეების ქართული ენის გამოყენება, დეცორაციები და ა.შ.), ხშირი ალიტერაციები, განსაკუთრებული ფერსიფიკაცია - აღმოსავლური ტიპის პოეტის სახეს გვაჩვენებს. დღევანდელ საქართველოში ამ ესთეტიკური ორიენტაციის სხვა პოეტებიც არიან. აღმოსავლურ და დასავლურ გაღვივება ბრძოლა და სინთეზი ქართულ პოეზიაში გრძელდება, და ეს ბუნებრივია: საქართველო ხომ ამ ორი სამყაროს გასაყრზეა. მეტიც, ეს არა მხოლოდ ბუნებრივა, არამედ შესანიშნავიცაა: აღმოსავლური და დასავლური პოეზია ხომ ერთნაირად მნიშვნელოვანი და მშვენიერი!

შენიშვნები

1. ქართულიდან რუსულ ენაზე თარგმანები, აღნიშნული შემთხვევების გარდა, შეასრულა მათა მამალაძემ სპეციალურად ამ სტატიისათვის.

2. ბესიკი (ნამდვილი სახელი და გვარი ბესარიონ გაბაშვილი, 1750-1791) - ქართველი პოეტი გამოკვეთილი აღმოსავლური ესთეტიკური ორიენტაციით.

3. ვაგუფ "კომპანია 410" (ან უბრალოდ "410")-ში შედიოდნენ რუსი პოეტები "ზაფხუნიკები", რომელთაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ ნოვატორ პოეტებთან (გრობაქიძე, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე და სხვ.). ვაგუფის ერთ-ერთი ნაშეკნი ნეტრი იყო ილია ზადანევი (1896-1975), თბილისელი მოლონური წარმოშობის რუსი და ფრანგი ავანგარდისტი, ფუტურისტული და დადისტური მოძრაობის მონაწილე, ვიზუალური პოეზიის ერთ-ერთი პიონერი, რომელიც ემიგრაციაშიც აგრძელებდა ამ სფეროში ექსპერიმენტირებას. 1920-იანი წლების დასაწყისში თბილისში უკვე არსებობდა ქართველი ფუტურისტების (ს. ჩიქოვანი, ნ. ჩინაფა) ვაგუფი. რუსი ფუტურისტების საქართველოში მოღვაწეობის შესახებ იხ.: Крусанов А. История русского авангарда. Т. 2. Кн. 2. М., 2003. С. 301—328; *Никольская Т. Фантастический город*. М., 2001.

4. იგულისხმება ქართულ და რუსულ ენაზე გამოქვეყნებული რუსი და უცხოელი ავტორების ტექსტები - და არა მხოლოდ ლიტერატურული, არამედ ფილოსოფიური, ფილოლოგიური, რელიგიური, კულტუროლოგიური და ა.შ. პოლიტიკური მიზეზების გამო საბჭოთა ხელისუფლების მიერ აკრძალული ქართველი მწერლები ბევრნი არ ყოფილან.

5. ვინაიდან შ. იათაშვილს გასაგებ მიზეზთა გამო არ შეეძლო დაენერა საკუთარი შემოქმედების შესახებ, აუცილებლად ვფიქრობ, მოეცემათ იათაშვილის პოეზიის მოკლე დახასიათება, მოცემული ამ სტატიის ერთ-ერთი "გმირის", დავით ჩიხლაძის მიერ: "შოთა იათაშვილისათვის დამახასიათებელი ლექსის აგება ყოველდღიურობის საფუძველზე, პოეტური დაძაბულობის ძალდაუტანებელი გამოტანა ქალაქისა თუ საგანთა გარემოდან, ცხოვრებიდან. ფაქტებისა და მოვლენების, განწყობებისა და ამ განწყობათა მიზეზების დოკუმენტური აღწერა მოულოდნელად პოეზიად გარდაიხსნება; ცხოვრება, აღბათ, ასეთივეა თავიდანვე შოთა იათაშვილი ახერხებს რეალობის პულისის ადეკვატური პოეტური ენის პოვნას, ისეთი ენისა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია გადაურჩეს ყოველდღიურობის გამჭვირვალების დამძიმებას სიტყვარბევლობითა და

ზედმეტი, პოეტურად უფუნქციო რიტორიკული მეტყველებით.

(სტაბია, დიდ როლს ითამაშებს სინტაქსი და პიკუს ტიპის ჭკრიტა...

ის წერს თანამედროვე ქართველებისთვის გასაგები, არასტილიზებული ენით; ამავე დროს, ახერხებს გვერდი აუქციოს მეორე საშუარობებს - დღეს გარკვეულწილად მოდური კულტურული ყოფის ენას, ანუ უბნამად სტილიზებულ ფარგონს, ამ კითხვით "თანამედროვეობის" უსუსურ ნიშნას დღევანდელი ქართული ხელოვნების ზოგიერთ ნიმუშში."

აქვე აღვნიშნავთ, რომ რთველიაშვილისა და ბუნდოვანისაგან განსხვავებით, "ანამალიური პოეზიის" შემდეგ იათაშვილი თითქმის აღარ წერს საჭირობოტო სოციალურ თემაზე; და მილიანობაში, მისი პოეტიკა უკანასკნელ წლებში საკმაოდ შეიცვალა.

6. ბარბაქაძის პროზის (რომანიდან ფრაგმენტის) ერთადერთი თარგმანი რუსულ ენაზე გამოქვეყნებულია ინტერნეტ-ფორუმში "TextOnly" (www.vavilon.ru/textonly/).

7. სხვათა შორის, მე მეჩვენება, რომ ბარბაქაძე მეტის-მეტად ერთობა ამ მეთოდით: ამა თუ იმ სიტყვათშეთანხმების ყველა შესაძლო ვარიანტის ფიქსირება არჩევანითა და ავტორისგან სანყის გარეშე - არის გზა, რომელსაც მშრალ და მკვდარ ფორმალისზამდე მიყავართ.

* ამ შემთხვევაში სტატიის ავტორს შესიერებამ უღალატა და ტარილე ჭანტურიას ლექსი "რონიზი" ვახტანგ ჯავახაძეს მიანერა, რის გამოც ბოლდუს უხდის ავტორს.

** ეს დამონათქვამიც, როგორც შემდეგ გაირკვა, ტარილე ჭანტურიას გუთუნის, ხოლო კოტე ყუმბანივილი - მა იგი შემდეგომში თავის თავზე მიიწერა (ან დამოუკიდებლად მიანერა) და ფართო პოპულარიზაცია გაუკეთა მას. სტატიის ავტორმაც, არაა გასაკვირი, რომ ყუმბანივილისაგან იცოდა ეს ფრზა და მის ტექსტებს შორის მოისინთა. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში რუსი თავს დამნაშავედ არ გრძნობს.



ცნობილ პოეტს გივი ალხაზიშვილს 60 წელი უსრულდება. „არი-ლი“ ულოცავს ერთგულ ავტორს ამ საიუბილეო თარიღს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს.

გივი ალხაზიშვილი

* * *

...რომელსაც უკვე აღარ დარჩა აღარაფერი სამყაროს გარდა...
ბ(ო)რხმ(ი)

დგება წუთი, როცა აღმოაჩენ, რომ აღარაფერი დაგრჩა სამყაროს გარდა, რომელიც მუდამ შენი იყო და რომ იყო, არც გაფიქრია.

აღარაფერი - სამყაროს გარდა, სადაც შენ ბუტბუტ მომაყუე ამოთებით.

აღარაფერი სამყაროს გარდა... და კრცვილ წუთი, სხვა ვეღვაფერი სიხმარი იყო, როგორც წყლის ქვეშ მოზაიკა ღამემ რომ შიანთქა და შემს სიტყვებში უხმელესი სინათლე ჩაღდა.

ეს არა იმგვარი დრო, რომელიც, ჩვეულებრივ, იასახება რომანთა უმრავლესობაში, მაგრამ არც სიზმრების დროა, თუმცა სიზმრებში, როდესაც ხელთ არა გვაქვს სათავე და კალენდრები, უფრო ვუახლოვდებით მის გაგებას. კავკასიელი დრო ბიუროკრატულია - ან, უფრო ზუსტად, ბიუროკრატია გულისხმობს, კავკას აზრით, დროისა და მასში არსებობის შეუძლებლობას. ასეთ დროში აღმოვჩნდები, როდესაც ახლახან მივედი ამერიკის საელჩოში (ლონდონში) ვიზის მისაღებად. იქ დილის 11-ისთვის უნდა გამოცხადებულიყო. შენობასთან იდგა დაახლოებით ოთხასი კაცი, რომლებიც ამავე დროისთვის დაეპარებინათ. როგორ დგომა იმდენ ხანს გაგრძელდა, რომ მომეჩვენა, თითქოს მრავალი წელი გასულიყო. ბოლოს შენობაში შევიკმევეს, რათა მიველო ბარათები ჩემი ნომერბიანთურთ. ჩემი ნომერი იყო 169, მაგრამ შევამჩნიე, რომ მონიტორზე ციფრები შემოსვლების თანმიმდევრობით მიჰყვებოდა ერთმანეთს - 502, 164, 80, 670, 378 - რაც აშკარად არ შეესაბამებოდა იქ მყოფთა რაოდენობას. "ზომ შეიძლება, გავიდე?" - ვკითხე მცველს. "დახს - მიპასუხა მან მზიარულად, - ყოველთვის შეგიძლიათ გახვიდეთ. გასვლა თავისუფალია. მაგრამ ასეთ შემთხვევაში დაკარგავთ თქვენს რიგს". ისევ დადევს. ჩვენ შორის იყვნენ ცნობილი პოპმომღერალი და ასევე სახელგანთქმული მსახიობი, რომელთაც ძალზე ექაბრებოდათ. ისინი ცდილობდნენ, გაეგებინებინათ ეს მაგიდასთან მჯდომი

კაცისთვის, ის კი შეუბრალებლად აკარგინებდა მათ დროს. სწორედ ამგვარი ბიუროკრატული დრო, რომელსაც არ გააჩნია დასასრული, მივხვები და რაციონალური დანიშნულება. კავკას "ფიქრში" ბინიერის, ტანჯვის, იმედისა და ქეშმარიტი გზის შესახებ" განმარტებულია, რთი განსწავლავდა ბიუროკრატული დრო ჩვეული დროისგან: "გზა უსასრულოდ გრძელდა. მას ვერ შეამოკლებთ, ვერაფერი გიმშველით. მიუხედავად ამისა, ყველა ცდილობს გზის განვინილობის განსაზღვრას საკუთარი მარტივი საზომი საშუალებებით". იგულისხმება, რომ ჩვენი "მარტივი საზომი საშუალებების", საათებისა და კალენდრების მეშვეობით ამაოდ ვცდილობთ, ზუსტად გავზომოთ უსასრულო მისტერია.

აბსურდული და უსასრულო ბიუროკრატული დრო, კავკას აზრით, ასახავს რეალობის ქეშმარიტ სურათს. ბენიამინის თქმით, კავკას წარმოადგენს უსასრულობის შესახებ სხვა არაფერია, თუ არა "ქეშმარიტი ვითარების გაყალბება", "უმართულო თეოლოგიური მსოფლაცემის ნიმუში", რომელიც აბნეებს მკითხველებს. მათი აზრით, კავკას თანამედროვეობის ბრალმდებელია, ბიუროკრატია კი - "კავკასიელი კომშიარ". ამიერიდ მკითხველის გაოცებას იწვევს ის, რომ კავკას გმირები თითქმის ექსტაზურად ემონებთან ბიუროკრატულობას, თითქოს კანონმორჩილად უკიდვლეს სიქველეს წარმოადგენდეს. ამ ჩიხბანდ თავის დასაღწევად მკითხველები "რონიას" მიანერნენ მწერალს, რაც სწორი არაა. კავკას საყაროში სჯობს, შეეცადო შეშარავ სიმართლეს, ვიდრე - თავი მოიტყუო ყალბი წარმოდგენებით. პერსონაჟები აქ გულისხმობენ ზუსტად იმას, რასაც ამბობენ, ყოველგვარი ირონიის გარეშე. როდესაც იოზეფ კი ამტკიცებს, რომ მღვდლის მიერ მოყოლილ იგავში კარისკაცი ბტყუებს მიხვნეს, მღვდელი უსწორებს მას:

"შენ საქმარისი პატივისცემით არ ეკიდები ამბავს - თქვა მღვდელმა, - ამიტომაც ვერ გაიარე იგავი. ის შეიცავს კარისკაცის ორ მნიშვნელოვან განმარტებას კანონთან მიახლოების შესახებ, ერთს - დასაწყისში, მეორეს კი - დასასრულს. პირველი მათგანის მიხედვით, კარისკაცს არ შეუძლია მთხოვნელის შეშველა ამ მომენტში, მეორე კი მითითებს, რომ კარბი განკუთვნილია მარტოოდენ ამ მთხოვნელისთვის. აქ შეუსაბამობა რომ იყოს, მაშინ მართალი იქნებოდა და კარისკაცი მოატყუებდა მთხოვნელს. მაგრამ აქ არავითარი შეუსაბამობა არაა".

ჩვენც საქმარისი პატივისცემით არ ეკიდებით კავკას მიერ მოთხრობულ ამბავს. მისი ნაწარმოები ცდილობს, შეათავსოს შეუთავსებელი, შეუსაბამო იდეები. კითხვისას, იობის მსგავსად, უნდა გავყოლოთ ცდუნებს და არ ვცდილობთ იმის გადამწყვეტს, რაც გადამწყვეტელია. "უსაზომი და გაუსაძლისი მოგზაურობა შინისკენ სხვა არაფერია, თუ არა შენი "შენ". ეს კარბივე განკუთვნილია მხოლოდ შენთვის: ახლა, ამ მომენტში ვერ შეგიშვებ". ამ "ახლაში" თავს იჩენს ადამიანის უშენობა და შიში დროის წინაშე. კავკამ ერთხელ შენიშნა, რომ


"ჩვენი ამოცანაა ცხოვრებისადმი შეგუება". როდესაც ვფიქრობთ დროის შესახებ, ჩვეულებრივ, ვიანერებთ მას მრავალ ამგვარ "ამოცანად", ესენია: შვილები, ათწლეულები, ბინები, საქმიანობის სხვადასხვაგვარი სახეობები. რომანები აიგება ამ მასალაზე. მაგრამ კავკა ჭაბუკური გზებით უკუავადებს დროის შევსების ილუზორულ ხერხებს. აი, ნაწყვეტი ოცდათვრამეტი წლის კავკას დღიურიდან: "ყველაფერი არარეალურია - ოჯახი, სამსახური, მეგობრები, ქუჩა, მთლიანად არარეალურია ქალი, ნაცნობიც და უცნობიც. ყველაზე უცილობელი ჭეშმარიტება კი ისაა, რომ ადამიანი გამეტებით ურტყამს თავს უფანჯრო და უკარო დილეგის კედელს".

კავკას მიხედვით, ჩვენი სოციალური ცხოვრების დრო არაჭეშმარიტია. ამ შეხედულების საპასუხოდ, მღვდელი "პროცესში" აცხადებს: "ადამიანს არ უნდა სწამდეს, რომ ყველაფერი ჭეშმარიტია. მან მხოლოდ უნდა შეიგნოს, რომ ყველაფერი აუცილებელია". და იოზეფ კ. შენიშნავს: "სავალალო დასკვნაა. გამოდის, რომ სამყარო სიცრუეზეა აგებული". თუ სამყარო თავს გვიხვევს დროის ჭეშმარიტი არსის შესახებ, მაშინ რომანში, როგორც უანში, აისახება ეს ცრუ წარმოდგენა, თავისი ეპისტოლარული დასაბამიერი ნიმუშებიდან მოყოლებული (სადაც ყოველი წერილის დასაწყისში აღინიშნებოდა შესაბამისი თარიღი), რომანი მოიცავს შესავალს, შუა ნაწილს და დასასრულს, ე.ი. მკაფიო სტრუქტურით ხასიათდება. მაგრამ კავკას კატეგორიულად არ სწამს, რომ რომანს ძალუძს დროის ჩვენეული აღქმის გადმოცემა.

ქვემოთ მოყვანილია პასაჟი ვრცელი ნოველიდან "ბრძოლის აღწერა", რომლის სათაური გულისხმობს როგორც კავკას ჭიდილს რომანთან, ასევე - დაძაბულ ურთიერთობებს ორ საინტერესო პერსონაჟს შორის.

"შემეძლო, მარტო ნავსულიყავი შინ და ვერაინ შემაჩერებდა. შემდეგ, შემეძლო, ფარულად დავეკრებოდი ჩემს ქუჩაზე მიმავალ ნაცნობს. მშვიდობით, ძვირფასო ნაცნობო! როცა ჩემს ოთახში მოვხვდები, გავთბები, ავანთებ ნათურას და ჩავეჯდები სავარძელში, რომელიც დაგლეჯილ აღმოსავლურ ხალიჩაზე დგას. სასიამოვნო პერსპექტივაა? რატომაც არა! მაგრამ შემდეგ? არავითარი შემდეგ".

ამ წარმოსახულ სურათში შეიგრძნობა, შესაძლოა, რწმენის განადგურება ამ უწინაშე სიცრუის თქმისა, როდესაც ეს აუცილებელია. რომანი ყოველთვის კითხულობს (ბედნიერი დასასრულის იმედით): "მაგრამ შემდეგ?" და კავკა პასუხობს: "არავითარი შემდეგ". მწერალს ისე გაუჩნდა "ბრძოლის აღწერის" შექმნა, რომ ბრძოლს გაუშვილა: "ერთდღერი, რამაც სიამოვნება მომანიჭა, იყო ამ ნოველიგან გათავისუფლება". "ამერიკის" წერისას კავკა ასევე ებრძოდა "შემდეგ... და შემდეგ"-ს. ამ "შემდეგ"-ში იგრძნობა ჭეშმარიტად ქრისტიანული მესიანური ენთუზიაზმი რომავალთან დაკავშირებით, რომელიც ასასიათებს რომანის ნარატიულ მეთოდს. შეიძლება თუ არა კავკას ფრაზაში "მაგრამ შემდეგ"



დეგ? არავითარი შემდეგ" რაღაც აშკარად იუდაისტური? ესაა ნამდვილად ნარატიული დამოკიდებულება, რომელიც უფულებელოებს ბედნიერ დასასრულებსა და დასრულებულობას, და სამაგიეროდ აღიარებს მიუწვდომელ, უსასრულო "ახალს". ამ უკანასკნელს ჩვენ - ცნობიერების შეზღუდულობის გამო - ვერასოდეს ჩაწვდებით. ეს იუდაისტური დროა?

ზოგიერთი ხასილდურ იგავში დრო კეთილისმყოფელი ძალა კი არა, უბადრუკი ტავტოლოგიაა, რომელიც დანაწევრებულია მარტოაღწეულ ღვთაებრივ გონში. ამ იგავებში ადამიანები ბრიყვულად მანიპულირებენ იმით, რაც დემრთმა მათ მხოლოდ წაწილობრივ გაუცხადა. აი, კავკას ერთ-ერთი საყვარელი ხასილდური იგავი:

"შაბათი საღამოს ებრაელთა ერთი ჯგუფი დუქანში ზის. ყველა ადგილობრივი მოსახლეა, უცნობი მანანწალას გარდა. ისინი გამოთქვამენ თავიანთ სურვილებს. ერთი მათგანი ოცნებობს ფულზე, მეორე - ახალ დაზგაზე, მესამე - უკეთეს სიძუზე. როცა ჯგრი მათხოვარზე მიდის, ის ამბობს: "ვოცნებობ, ვყოფილიყავი დიდი ხელმწივე, შესანიშნავ სრა-სასახლეში. მაგრამ ერთ დღეს თავს დამესხმებოდნენ მეამბოხეები და პერანგისამარა გავიქცეოდი შინიდან. მთებსა და ველებს გადავიარებინდი. ბოლოს მოვადნევიდი ამ დუქანამდე". "რა გინდა, ამით თქვა?" - კითხულობს ერთ-ერთი ებრაელი. "კარგი იქნებოდა, პერანგი მქონოდა", - პასუხობს მანან-

ნალა“.

აი, ასე მანკაპულირებს დროით მანანწალა (და ჩვენც ამგვარად ვიქცევით). ვაფკამ მიბაძა ხასიდური იგავების სისხარტეს. მას კმაყოფილებას ანიჭებდა ისეთი სხარტი ნოველების შექმნა, როგორიცაა, მაგალითად, “განაჩენი“. ეს შესანიშნავი თვალთვართი ლამის განამავლობაში დაიწერა და ავტორმა თავისი შემოქმედებითი ძალისხმევა ეპოქალაციას შეაღწა. “შოლოდ ამგვარად უნდა წერო“, - ამბობდა კავკა.

მან ირწმუნა, რომ სწრაფად დანერგილი მოკლე ნაწარმოები უახლოვდება ორგანული მხატვრობის ქმნილების ტექნარტიტებს. მოკლე თხზულებები კაცვას საუკეთესო ნაწარმოებებია. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ რამდენიმე სტრიქონს მოიცავს. ესაა იგავები დროისა და მისი უღმობობის შესახებ. იგავში “მეზობელი სოფელი“ დრო ისეა შენელებული, რომ მთხრობელი ეჭვობს, ეყოფა თუ არა ადამიანს მთელი სიცოცხლე მეზობელ სოფლამდე მისაღწევად. “მონადირე გრავსუსში“ ადამიანის სიკვდილის ნავი გზას ასცდება. ახლა გიორი არც ცოცხალია და არც - მკვდარი. “ახლა აქ ვარ“, - ამბობს ის, “სხვა არაფერი ვიცი და ამაზე მეტს ვერაფერს ვაგანწყობ. ჩემს ნავს უგზო-უჯვოლად დააქანებს ქარი, რომელიც უზერავს სიკვდილის ქვედა სფეროებში“. აი, როგორ შეიგრძნობდა დრო! აი, როგორია ცხოვრება! ჩვენც იმპერატორის შიკრიკები ვართ და ამის შესახებ იმიტირ ვსვდებით, რომ შეტყობინება უნდა გადავცეთ. დროის ხანგრძლივობა არ ნიშნავს, რომ ოდესმე მივაღწევთ მიზანს. ნაბოკოვისა არ იყოს, “სიცოცხლე - ორ იდეალურად შავ მარადისობას შორის გამოქრთალი სინათლის სუსტი სხივია მხოლოდ“.

მაშ, ვინ ვართ ჩვენ, რომ ვიმსჯელოთ დროის შესახებ? “ვერავინ შექლო გზის გაკვალვა, თვით გარდაცვლილის შიკრიკავც კი“, - წერს კავკა. “ჩინური კედლის“ ბოლო სტრიქონებში, “მაგრამ შენ ზიხარ ფანჯარასთან და შეზინდებისას ოცნებობ ამ შეტყობინების შესახებ“. ეს ჩვენ ვართ ფანჯარასთან მსხდომნი, მეოცნებენი, რომანის კითხვით გართულნი. რომანები მოიცავს სიცოცხლესა და დროს. რომანები აუცილებელი გამონაკონია, ესაა ჩვენი მოგზაურობა, რომელიც სადმე მიგვიყვანს.

III

ჩემს ლექსიკონში “კავკასიული“ ასეა განსაზღვრული: “ადამიანის იზოლირებული არსებობა დეჰუმანიზებულ სამყაროში“, თითქოს კავკა ძრწოდა საბუდედ მანქანების გაფრცხვლების ან გამოთვლილი მექანიზმების (რომლებიცაა გააუქმეს განაგრძობებათა ჩვეული, ტრადიციული ხერხები) ეპიდემიის გაშრო. მაგრამ - არა. არადეჰუმანიზებული; ადამიანური, ან - ძალზე ადამიანური. კავკასი აზინებდნენ ადამიანები, მათი სისარბითა და ანგრებით. საშემორობას ის ხედავდა არა მექანიზაციაში, არამედ - იმ ადამიანთა მოძრაობებში, რომელთაც სწამდათ საკუთარი უსაზღვრო ძლიერებისა. კავკასი ვარსადე გამართლდა. ნაცისტები არ მოქმედებდნენ, როგორც მანქანები ან ავტომატები; ისინი მოქმე-

დებდნენ მგზნებარე, ბოროტი ნებების კარნახით. სიცოცხლე, რომელიც აღიარებს საკუთარ ძლიერებას, თავისთავად, ტირანის სახეობაა. ეს ძლიერება სიცოცხლე ენაცვლება საბრლო მშენერ ხელოვნის მას შემდეგ, რაც მაყურებლებს ბეზრდება მისი თვალთვება.

“გალიაში მათ შეუშვეს ახალგაზრდა ფიქი. თვით ყველაზე გულგრილი ადამიანებიც კი გამოცოცხლდნენ, როდესაც დანახეს გალისი გარშემო მობრუნდნენ, ის ველური არსება. ფიქი თავს მშვენივრად გრძობდა. ის არც კი ნაღვლობდა დაკარგული თავისუფლების გამო; მისი მშვენიერი, ცხოველყოფილი ძალი უხვად დაჯვლიდებოდა სხეული თითქოს გარშემორტყმული იყო თავისუფლებით, რომელიც ემუხებოდა იფრქვეოდა, ხოლო სიცოცხლის ხალისი ძალზედა იღვრებოდა ხახიდან და აოგნებდა მაყურებლებს“.

თვით სიცოცხლის სისასვე და მრავალფეროვნება, რომელიც აღაფრთოვანებს რომანისტებს - განსაკუთრებით თანამედროვე რომანისტებს - კავკასთან აგრესიულ ელფერს იძენს. ერთი ადამიანის ექსპანსიურობას შედეგად მოსდევს მხოლოდ მეორის დათრგუნვა. კავკასიის ეს კარგად იყო ცნობილი. მამამისს გააჩნდა “ის იდუმალი თვისებები, რომლებითაც აღჭურვილია ყველა ტირანი - მათი ძალაუფლება შეყარება მარტოოდენ ძლიერ ავტორიტეტს და არა ხალ გაანჯავს“. სანტერესოა, რა ბედი ეწვია კავკას თანამედროვე ინგლისში, სადაც ძლიერი ავტორიტეტი თავდაცვის ძირითად საშუალებას წარმოადგენს. “მეტამორფოზის“ დასასრულს გრეგორის დას სულ უფრო მეტი ხალისი ეტყობა და ბოლოს, მატარებელში, თავისი ნორჩი, გათქვირული სხეულით წინ აესვენება აღტაცებულ მშობლებს. ესაა ავბედითი წინაშე მასპურდულ სამყაროში, სადაც საკმარისია მხოლოდ საკუთარი სიცოცხლით სისასვე.

სიტორიულად რომანი მიდრეკილებას იჩენდა ამგვარი აქტიური პერსონაჟებისადმი, მაგრამ კავკას ისინი ამიწებენ. მისი აზრით, ინდივიდუალის ყველა ფორმა სქესთა თავდაპირველი გამიჯვნის გამოძახილი წარმოადგენს. თავის ლურჯ in octavo რეველში მწერალი შენიშნავს, რომ სხვებზე უკეთ ჩასწავდა ადამისა და ევას დადების საიდუმლო. სწორედ დასაბამიერი ერთიანობის დანაწევრება აწამებს მას ყველაზე მძაფრად. მთები, ცა და სხვადასხვა ობიექტები, თავიანთი საგნობრიობით, აღიზიანებენ ამ ზემგრძნობიარე სულს: “არა მხოლოდ მთები ისოვდენ ყალბი, აბეზარი და მზაკვარი - ყოველივე დანარჩენიც ასეთია... ამიტომ კვლავ და კვლავ ვიმოვრო - ნეტავ ციფოთ, როგორ მანაამებო!“

ამასთან, კავკასგან ვერ დადგებოდა ეგზომ უბადლო მწერალი, თუკი ის მოერეოდა თავის შიშს. მწერლის ბიოგრაფი კლავს ვაგენბახს აღნიშნავს, რომ კავკაზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა შიშის კირკეორისეულმა განსაზღვრამ: “შიში უფრთხის, მაგრამ მთავი ინარჩუნებს ფარულ კავშირს თავის ობიექტთან, არ ძალუხს, თვალთ მოაცილოს მას“. შიში კავკასთან მახობისტურ სიამოვნებას

წარმოადგენს. ცირკის მაცურებლებს ეწინააღმდეგება სიცოცხლით სავსე ჯიქისა, მაგრამ მინც "მოერივნენ თავს, გარს შემოქვივნენ გავლის და არაფრით არ სურდათ ადგილიდან დაძვრა". კავკას აშმაგებდა და, იმავდროულად, მოსწონდა სხვა ადამიანთა თავდაჯერებული მყოფობა. მისი გმირები ხშირად აკურავდნენ სხვა ადამიანებს, ისე, თითქოს ამ გზით სურთ მიხედნენ, რამდენად შესაძლებელია ცხოვრება. "ვიმედოვნებ, ვისწავლავ თქვენად, როგორია რეალურად ცხოვრება", - ამბობს მოხვედრელი "ბრძოლის აღწერაში", - რატომაა, რომ ჩემს გარშემო საგნები მინაზე დაფენილი თოვლივით დნება, ხოლო სხვებისთვის მაგიდაზე დადგმული პანანინა ჭიქა ქანდაკებასავით მყარია".

რატომ ხდება, რომ ზოგიერთისთვის სიცოცხლე, ცხოვრება მარტივი, ქანდაკებასავით თვალსაჩინო ფაქტია, მაშინ, როდესაც სხვებისთვის ის წარმოადგენს გმირობის ტოლფასა? კავკას შიშის პოეტი გახლდათ. მას აოცებდნენ ადამიანები, რომლებიც ასურებდნენ საკუთარი თავის ლოკალიზებას და ამოცნობას სამყაროში. "ასე მგონია, - შენიშნავს ბენიამინი, - თითქოს კავკას მიელი სიცოცხლის განმავლობაში აინტერესებდა, როგორ გამოიყურებოდა და არც კი იცოდა, რომ არსებობს სარკვები". აი, როგორ აღუწერს კავკას ამ გაცეცხას ბროდს: ნაშუადღევს ცოტა ხნით ნავიძით და გაღვიძებისას ვერ გაეგრევიე, ნამდვილად ცოცხალი ვიყავი თუ არა. გავფიქრე, როგორ ჩასძახა დედამჩემმა ბუნებრივი კოლოით მეზობელ ქალს: "მანდ რას აკეთებ?" ქალმა კი უპასუხა: "ბაღში ჩაის ვსვამ". გამაკვირვა საკუთარი არსებობის ამ გაბედულმა ადადასტურებამ".

კავკას არ გააჩნდა არსებობის ამგვარი უნარი. კითხვა: "მანდ რას აკეთებ?" მის, ალბათ, ადგილზე გახაზებდა. მეზობელი ქალისთვის ეს იყო ყველაზე მარტივი შეკითხვა ამქვეყნად, კავკასთვის კი გაუგებარი გახლდათ მარტივი მოვლენები. თვითგამოცნობის ყოველდღიური შესაძლებლობები, ადამიანის ქცევა წარატყვად, კონსტატაცია იმისა, რომ "აქ ვარ და ამა ვაკეთებ", მას სასწაულებრივ უჩვეულო სიამავედ ქსახებოდა; ამგვარ თვითგამოცნობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში კანდირდებოდა, თუ ეს წინასწარ მოფიქრებული აქტია იყო და არა მვისიერი თვითმოტყუება. ალბათ, სწორედ ამიტომ ტყუებოდა უბრალო თვატრით და სულ უფრო მეტად იხიბებოდა მისი მსახიობებით. მსახიობები ხომ იმ ადამიანებს განეკუთვნებიან, რომელთა ვულგარული თვითგამოცნება არასოდეს არაა ფარული. ასეთსავე სიყვარულს განიცდიდა შამლეტი მოხეტიალე მსახიობთა მიმართ. ადამიანს მოსწონს მსახიობები - რომლებიც გულწრფელად თვალთმაქცობენ - თუ ის ცხოვრობს ისეთ სამყაროში, სადაც თვალთმაქცობა გამოწყობილია გულწრფელობისა და ჭეშმარიტების სამოში.

არც ერთ სხვა მწერალს არ აოცებდა ესოდენ მსაფრად იდეა იმის შესახებ, რომ როდესაც ადამიანი ამბობს: "შე ბაღში ვარ", მას ძალეუთ მიელი თვისი არსების განათავსება ამ "მე"-ში. მსახიობები მხოლოდ თამაშობენ მსკაცს "მე"-ს, ესაა დროებითი

"მე", რომელიც არასოდეს მოითხოვს რეალურ არჩევანს და, არისტოტელესეული განსაზღვრით, არ ავლენს ადამიანის ხასიათს. კავკასთან ხასიათი, თავისთავად, გარკვეულ შეზღუდვას გულისხმობს; "მე"-ს წარმოქმნა არ ნიშნავს ყოფნას, არამედ - არყოფნას.

არსებობის ინდივიდუალის უუნარობა (რაც საშუალებას არ იძლევა, ითქვას: "აქ ვარ, ვაკეთებ ამას, ეს ჩემი სახლია, ეს - ჩემი სატრფო") ინგლისელ მკითხველს მოგაგონებს ფილოსოფიური ლარკინის მიერ იმის უგულვებლყოფას, რასაც პოეტი უწოდებდა: "Places, Loved Ones". ლარკინის აზრით, ადგილისა და პიროვნების განსაზღვრა ზღუდავს არჩევითი შესაძლებლობების სიმრავლეს. უპირატესობა ენიჭება პასიურ ჭჭრებას. ამასთან, კავკას, ისევე როგორც ლარკინის აზრით, "არჩევს" და "განსაზღვრის" ფუნქციას ყოველთვის ქალი კისრულობს. "ქალი ხაფანგია, - აცხადებს კავკას, - ეს ხაფანგი მამაკაცს პიროვნულობის საზღვრებში აქცევს". ლარკინის ღრმად სარკასტული ნაწარმოები "წემი ცოლისადმი" გარკვეულწილად ასახავს ამ აშკარად უგუნურ თვალსაზრისს. კავკას არ ცდილობს (ლარკინის თქმისა არ იყოს), "დაკეცოს ეს ფარშეანგის კუდივით გადაშლილი მომავალი", არამედ ამბობს: მიენდოს "უსასრულობას იმ ხნით, რომლის განმავლობაში არჩევანი არ ვაკეთებამ". კავკას იგავში "უარი" ორი ახალგაზრდა წარმოადგენს, როგორ გაიცნობენ ისინი ურთიერთს, შემდგომ - განჭვრეტენ მომავალ სასიყვარულო ურთიერთობასა და სავარაუდო მძიმე განცდებს, რის შედეგადაც გადაწყვეტენ, თავი არ შეინაწონ ერთმანეთის გაცნობის - ყოველივე ეს რამდენიმე წინადადებითაა გადმოცემული, ლარკინის მსგავსად. იგავის კომიკური დედააზრი შეიცვლება დავანაილ იქნას შეხედულებაზე: "რატომ უნდა შევიწუხოთ თავი? ოდესმე ხომ ყველანი მოკვდებიან?" ("ნუ მეკითხები! ნუ მეკითხები!", უფერის კავკასთან პოლიციელი კაცს, რომელიც მისამართს კითხულობს).

ეს მართლაც რომ ლარკინისეული თვალსაზრისია, მაგრამ ლარკინი არ უგულვებლყოფდა ინდივიდუალისა, რადგან ხედავდა, როგორ ცვეთით უპიროვნობის უფსკრულში. პოეტს, აგრეთვე, მიაჩნდა, რომ მისი დემონები უფრო ღრმა იყო, ვიდრე - კავკასი. ლექსში "ლიტერატურული სამყარო" ის ეუბნება კავკასს დილორის ჩანაწერს, სადაც მწერალი ჩივის, ხუთი თვის განმავლობაში არაფერი შემიძინა:

"წემო ძვირფასო კავკას,
შენ რომ გქონოდა ხუთი ამგვარი წელი
და არა ხუთი თვე,
უღმობელი ძალა
ხელში ნილი რომ ჩაბუდებულყო შენს სხეულში,

მაშინ მიხვდებოდი, რა არის დემონქია".
პირველს მივანდოთ პასუხის გაცემა კითხვაზე, ვინ უფრო შესაბარალისია ამ ორ პიროვნებას შორის, მაგრამ კავკასს ეთიკური პრობა უქვეყნად უფრო მყარია, ვიდრე - ლარკინის დახვეწილი ინგლისური ჰესიმიზმი. კავკასს მიხვდეთ, ინდივიდუ-

ციის უფლებებზე უფროდ მოწყვება სერიოზული შედეგად, კერძოდ, ის ძირს უთხრის ეთიკას, როგორც წარმოდგენათა გარეკვეულ ერთობლიობას. ინდივიდის კავკასიან ალარ ძალუბს საყოველთაო ეთიკური წარმოდგენების განსჯა, რადგან არ არსებობს არავითარი სოციალური საყოველთაო წარმოდგენები და არც - განმსჯელი ინდივიდი.

სწორედ აქ ხორციელდება ჭეშმარიტი გამოჯვანრომანისგან. ისეთი შესანიშნავი რომანისტი, როგორც რიკაბა, მაგალითად, ოსტინი, მიმართავს თავისი პერსონაჟების შეჯერებას სხვა ადამიანებთან ან გამოცდის მათ მრავალფეროვან სიტუაციებში, ხოლო ეთიკის ყოველთვის განსაზღვრავს სოციალურის ფარგლებში. ფილოსოფიის გილბერტ რაილი ოსტინის ამ მეთოდს ადარებს ლენინით მოვაჭრის ან დეგუსტატორის ასეთსავე პროცედურას: "ცალკეული პერსონაჟის ეთიკური თვისებები ოსტინთან კი არ ეთარდება, არამედ - უპირისპირდება მათ სხვადასხვა ინტენსიობის გამოვლენებებს, მათ სიმულაციას, ნაკლებობას და ა.შ. სხვა პიროვნებებში ან სხვადასხვაგვარ სოციალურ სიტუაციებში". ჩვენი ვეცნობით ელიზაბეტ ბენეტს (და ის შეიმეცნებს საკუთარ თავს) მისი თანამედვერული შედარებით დახასიათების საშუალებით. ელიზაბეტი ყალიბდება მისი გარემოს მეშვეობით, როგორც ზნეობრივი და, აქედან გამომდინარე, სოციალური პიროვნება. ამგვარად, პერსონაჟის მორალური იერსახე განისაზღვრება ტრადიციული სოციალური ცხოვრების საზღვრებში.

მარტივად რომ ვთქვათ, იმას, რაც სასიკეთოა ელიზაბეტ ბენეტისთვის, დადებითი მნიშვნელობა აქვს სამყაროსთვის და პერსონაჟის გარემომცველი ადამიანებისთვის. ესაა შვეკლისული "ზნეობრივი საყარო". მაგრამ კავკას გმირები ამგვარნი არ არიან. მათი განვითარება შეიძლება წარმოვიდგინოთ აბსურდისტული კონცენტრული (ცენტრის მიმართულებით კუმშვადი) წრეების სახით. არ არსებობს არავითარი საყოველთაო, ზოგადი მნიშვნელობა. "ამას გულისხმობთ?" ეთიკობის გმირი. "ამას ან რაღაც ამგვარს", გაისმის პასუხად. და აი, კავკას კიდევ ერთი საინტერესო გამოჩნქვაში: "არსებობს ორი შესაძლებლობა: ადამიანის გარდასხვა უსასრულოდ მცირე არსებად ან ასეთად ყოფნა. მეორე - სრულყოფილება, ე.ი. უმოქმედობა, პირველი კი - დასანყისი, ე.ი. მოქმედება".

მწილია იმის თქმა, სად უნდა ვეძიოთ სიკეთე - სიმცირეში, უმოქმედობაში, მოქმედებასა თუ დასანყისი. კავკასიული ფრაზის უმეტესუცაია დამაბნელებია, ხოლო შედარებულ მოვლენებში ურიტიერ-თმეჯერებდაი როდია. რაც შეეხება ეთიკას, აქ კავკას გვაგონებს გერტრუდა სტიანს, მისი მიღვეილებით აღტერნატიული აზროვნებისადმი, ისე, თითქოს ამგვარი აზროვნება თავისთავად წარმოადგენდეს ზნეობრივ იდეალს.

ზნეობრივი პროვინია კავკასიათა გაუცნობილია სამყაროსგან საკუთარი ზნეობრიობის გამო. აქ მეტად არსებითი როლი შესასრულა კირკეგორმა. კავკასი თვით აღიარა ეს პიროვნული და ფილოსოფიური ზეგავლენა: "მისი ისტორია ძალზე ნაავაგს ჩემსას, არსებითი განსხვავებების მიუხედავად". კირკე-

გორმაც და კავკასიაც მიატოვეს ქალები ლიტერატურის გამო და ორივე მათგანი საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდა ბიბლიური ამბავს აბრაამის შესახებ. ამ უკანასკნელის მზადყოფნა ისაკის მსხვერპლად შეწირვისადმი ეყარება ცნებას, რომლისაც ვერ იპოვით შვეკლისული სამყაროში: ესაა რწმენა. "სახელმწიფო, - ამტკიცებდა შვეკლი, - აბსოლუტურად ზნეობრივი მთლიანობაა". სახელმწიფოს მსგავსად, რომელი გაიარებს თავისთავად, როგორც შინაგანი ეთიკური სტრუქტურით აღჭურვილი სიყვარული, რომანი განსჯის თავის პერსონაჟებს საკუთარი სოციალური სამყაროს კონტექსტში. მაგრამ აბრაამმა ისე მიიყვანა ისაკი სამსხვერპლობთან, რომ საზოგადოების მზადდგეჭრის არავითარი იმედი არ ჰქონდა. მან ვერ მოკლა ისაკი, რადგან ყრმის გადარჩენა სასიკეთო იყო თვით აბრაამისთვის, როგორც პიროვნებისთვის, აგრეთვე - ისაკისთვის, ქვეყნისთვის და თვით ღმერთისთვისაც. აბრაამს შეეძლო შეიღობო მოკლა, რადგან მან უფლებებზე თვით ზნეობრიობის იდეა და ირწმუნა ის, რისი გამოსახვა ან ჯერონდებ გააზრება არ ძალუძდა.

აბრაამის ამბის ეს კირკეგორისული ინტერპრეტაცია მიჩნეულია ეგზისტენციალური აზროვნების დასაბამად, მაგრამ არც კავკას და არც მისი პერსონაჟები ჭეშმარიტი ეგზისტენციალისტები არ გახლან. თუმცა კავკას გმირებს არ სწამთ, რომ სოციალური აუტენტილუდა გულისხმობს ეთიკურს (და ამიტომ ადამიანი მწერად ეტყევა), მაგრამ - და ესაა ზემოხსენებული "არსებითი განსხვავება" - ისინი არ აღწევენ "თვითგმირი თავისუფლების" იმ დონეს, რომლის შესახებაც მსჯელობდა კირკეგორმა. ამის ნაცვლად ისინი თავგანწირვით იბრძვიან, კავკასს მსგავსად. მათ არ ძალუძთ საკუთარი ზნეობრივი სვეტოსი შექმნა ან თვითამოყობა სხვა ადამიანებისა და ღმერთის არარსებობის პირობებში. მწეულია, იგი საკუთარი თავის არბიტრი ან მსაჯული. ემერსონი გვაფრთხილებდა: "თუ რომელიმე ადამიანის აზრით, ესა თუ ის კანონი მცდარია, დე, მან გამოსცადოს ის".

სუბიექტის გამომწვევება ადამიანთა ერთობისგან მიტანვეულ პროცესს წარმოადგენს. კავკას იმითვე სურდა ისეთივე მტანჯველი პროზის შექმნა, როგორც მის მიერ აღწერილი პროცესია. ოცი წლის კავკას წერდა: "ვეფრიბო, უნდა ვიკითხოთ მხოლოდ ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც გვექმენის და გვანამებს. თუ ნივინ სულით ხორცადვე არ შეგვიძრავს, მაშინ რაში მდგომარეობს მისი დანიშნულება? განა მან ბედნიერება უნდა განვაცდევინოს? ღმერთი დიდებულო, ბედნიერი სწორედ მაშინ ვართ, როდესაც ნივინ ხელთ არა გვაქვს. ლიტერატურა ჩვენზე ისეთსავე უმოქმედობას უნდა ახედენდეს, როგორც - დიდი უბედურება". ამდენად, კავკას არ გვაგონობივებს იმგვარ ბედნიერებას, როგორსაც აღგვიძრავს მადრე ბესტსელიერი, მაგრამ კავკას თვითონაც ვერ მიაღწია ბედნიერებას, კირკეგორის მსგავსად. საკუთარი თავის განსჯა უფრო ადეილი როდია, ვიდრე განკითხვა ღმერთის ან საზოგადოების მიერ. ეს ძალზე მტიკუნული პროცესია.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ასე ვიქცევით, ჯერ კიდევ მოვითხოვთ განაჩენს, რომელიც გამოტანილი არაა უბალიესი ხელისუფლების მიერ; ესაა კავკას დიდებული ფანდი, კავკას უდიდესი შიშო, კავკას დიდებული საიდუმლო. იმპერატორის შვირციები ჯერ კიდევ მისსწრადიან შეტყობინებათა გადასაცემად, თუმცა ყველა ხელშივე გარდაცვლილია. პრომეთე იმდენ ხანსაა მიჯაჭვული კლიდზე, რომ არც მას და არც მის მსაჯულთ აღარ ახსოვთ გმირის დასჯის მიზეზი. ტუსადთა კოლონიის ოფიცერთი თვით ჩაჯდება ემპაის მანქანაში მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ დაკარგა ინტერესი ამგვარი სასტიკი სასჯელის მიმართ. ღმერთის ან ზნეობრივი პრინციპების არარსებობისას შეუძლებელია მსჯელობა იმის შესახებ, რა არის ჩვენ მიერ გამოტანილი განაჩენი - ყველაზე შეშარავი თუ ყველაზე მშვენიერი რამ ჩვენს ცხოვრებაში.

კავკასთან ყველაფერი საჭიროებს განაჩენს და განსაკუთრებით - თვით კავკა. ეს საჭიროება აქ არ წარმოადგინს გარკვეულ ფანდს ან სტილურ ხერხს. ესაა ადამიანის მდგომარეობა. ამ გაგებით, მის შემოქმედებაში უეჭველად მონაწილეობს ფსიქოლოგია - მაგრამ მხოლოდ განკერძოებული ადამიანის ფსიქოლოგია. ეს ერთი ადამიანის ცნობიერების ლიტერატურაა, სხვა არაფერი. შესაბამისად, მეტაფორის მისეული კონკრეტულობა სიმპტომატურია. კავკა არ გიჩვენებ, რამდენად სხვაგვარად იქნებოდა მისი სამსახური, ამ სამსახურისა და კოლექციების აღწერის მეშვეობით, არამედ - მიმართავს პერსონაჟის გრძობების დაკონკრეტებას, მათ მატერიალიზაციას. "დღეს მწერივით უშწყო ვიყავი", "შუშაობის სკორე მივირთვი", "ძალივით მოვიწყინე", "თავივით უმნიშვნელო არსება ვარ". კავკასთან სიტყვები ხორცს ისხამს.

ეს ყველას როდი მოსწონს. არსებობს მკაცრი განაჩენი, რომლის წარმოთქმის პატივი კავკამ თავაზიანად დაუთმო თავის ერთ-ერთ გმირ ქალს: "საერთოდ, აღარ მომწონხარ. ყველაფერი, რასაც ამბობ, მოსაწყენი და გაუგებარია, მაგრამ ამის გამო ქეშმარიტებას სულაც არ შეესაბამება. ჩემი აზრით, შენ აღარ ზრუნავ ქეშმარიტებაზე, რადგან ეს ძალზე დამღვლილია". შეიძლება, ქალის სიტყვები კავკას მიმართ გამოთქმულ ბრალდებად მივიჩნიოთ, რაც მწერალს, ალბათ, აღაფრთოვანებდა. "ღმერთო ჩემო, როგორ მსიამოვნებს", ამბობს "შე"-პერსონაჟი საპასუხოდ, "როდესაც ადამიანი ესოდენ საზრიანია".

კავკამ იცოდა, რომ ცხოვრება შეუძლებელი არაა. უეჭველია, რომ ჩვენ ნამდვილად ვცხოვრობთ. აი, აქ ვართ. მაგრამ კავკა ლამობდა საპირისპირო ქეშმარიტების პოსტულირებას, ქეშმარიტების შეუპოვარ უარყოფას, რაც აისახა მის ერთ-ერთ ყველაზე რთულ იგავში:

"შეუძლებელია ითქვას, რომ ჩვენ რწმენის ნაკლებობას განვიცდით. რწმენის გარეშე წარმოუდგენელია არსებობა. ამას ვერავინ უარყოფს".

"შენი აზრით, ჩვენს არსებობას რწმენა უდევს საფუძვლად? ადამიანს, ბოლოს და ბოლოს, არ შეუძლია, არ იცოცხლოს".

"რწმენა სწორედ ამ "ბოლოს და ბოლოს, არ

შეუძლია"-თი გვაბრწყინებს; სწორედ ამ ნეგაციის მეშვეობით ყალიბდება".

კავკას მკითხველის წინაშე აღიმართება ის კარიბჭე, რომელშიც რომანი ვერასოდეს შეაღწევს - სხვა შემთხვევაში დაირღვევა მისი ფორმა. მაგრამ მან მიიწვ არ უნდა დაეაროს ფარ-ხმალი, მაინც უნდა სცადოს ამ კარიბჭეში გასვლა, თვით ამ შემთხვევაშიც, თუ, თუ ეს მცდელობა გამოიხატება მხოლოდ ხანგრძლივ ლოდინში, მცველის გარგნობაზე დაკვირვებასა ან მის საყელოზე დამწეული ლაქების თვალთვრებაში. რომანისტმა უნდა გაითვალისწინოს კავკასული აბსოლუტურად წინააღმდეგობრივი ქეშმარიტება და ამ გზით თავიდან აიცილოს მრავალი სიყაბუბე. აღვნიშნავ იმასაც, რომ კავკასული ქეშმარიტების ზეგავლენით შეიძლება დაიჩრდილოს ჩვენი ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვანი ასპექტი. მისი შემოქმედების ცენტრალური იდეები - უსასრულოება, პარადოქსები, გამოუხატავი არსი, სრული თვითგანქებება ცხოვრების წინაშე - იმდენად შთაბეჭდილია, რომ ნილზაგ კავკასეულ გაზვიადებებსა და ხარვეზებს.

კავკას ღირსეუბს ვერაფერი დაამცირებს, მაგრამ ზოგიერთი რამ სცილდება მისი თვალსაწიერის არეს. ესაა საერთო, საყოველთაო, აცილებელი სოციალური მოვლენები და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სხვა ადამიანები. კავკას გენიალურობა, საბოლოო ანგარიშში, განაპირობა იმან, რომ მწერალს მთლიანად შეიძინა განცნობიერებული ეს ხარვეზი, აგრეთვე - საკუთარი ტრაგედიის არსი და სიღრმე.

The New Republic
2004, იანვარი

ინგლისურიდან თარგმნა
მამარ ლუბიძემ



2/6

ლიტერატურის შესახებ


იასონის მშვიდნიერებით შოგილი

ფრაგმენტი

“ისე-მონოგატარში”, იაპონური უტამონოგატარების ყველაზე ძველ კრებულში მცირე ნოველებია, რომელთაგან ერთ-ერთი მოგვითხრობს, როგორი ყვავილი დაუდგა არივარა იუკიხარამ სტუმრებს: “იყო რა ძალიან დაბეწვილი ადამიანი, ლარნაკში გლიცინიის საოცარი ყვავილი ჩადო - ყვავილის ღერო სამახევარი ფუტის სიგრძის იყო”. რა თქმა უნდა, სამახევარი ფუტი სიგრძის გლიცინია უჩვეულო მოვლენაა, ეს არც კი მჯერა, მაგრამ იგი ხეიანური კულტურის სიმბოლოდ მესახება. გლიცინია ელევანტური, ქალური, წმინდა იაპონური სულის ყვავილია, ნაზი, შეუმჩნეველი, არა თვალმისაცემი... ნიავე ოდნავ არხევს ღეროს ჩამოკონწიალებულ ყვავილებს. ადრეულ გაზაფხულზე ყვავილი ხან გა-

მოიხედავს ღია სიმწვანეში, ხან შეიმალება - იგი შესანიშნავად განასახიერებს საგანთა მოძიბვლულობას - “მონო-ნო-ავარეს”. გრძელღეროიანი გლიცინია ალბათ მართლაც მშვენიერია.

დაახლოებით ათასი წლის წინ იაპონიამ თავისუბურად აითვისა ტანის კულტურა და ხეიანის დიდებული კულტურა შექმნა. იაპონელების სულში წარმოშობილი მშვენიერების გრძნობა ისეთივე უჩვეულო საოცრებაა, როგორც ზემოთ აღწერილი გლიცინია. პოეზიაში ლექსების პირველი საიმპერატორო ანთოლოგია - “კოკინსიუ” 905 წელს შეიქმ-





ნა. იაპონური კლასიკური ლიტერატურის პროზაულ შედეგები - "სე-მონოგრაფი" X საუკუნეში, მურასაკი-სიკიბუს "გენძი-მონოგრაფი" 970-1002 წლებში, სეი-სიონაგონის "ჩანაწერები სასთუმალთან" 966-917 წლებში. სწორედ ხეიანის ეპოქაში დაედო საბავე მშვენიერის ტრადიციას, რომელიც რვა საუკუნის მანძილზე არა მხოლოდ გავლენას ახდენდა შემდგომი საუკუნეების იაპონურ ლიტერატურაზე, არამედ განსაზღვრავდა კიდევ მის ხასიათს. რაც შეეხება "გენძი-მონოგრაფს", იგი ყველა პერიოდის იაპონური პროზის მწვერვალია - დღემდე აქ შესავსი არაფერი შექმნილა. და იც, საზღვარგარეთაც ბევრი უკვე მოყოლილი საოცრებას უწოდებს იმას, რაც X საუკუნეში იშვა და რაც ესოდენ შესანიშნავად დასრულდა თანამედროვე სულისკვეთების ნაწარმოებიან. მართალია, ბავშვობაში არც ისე კარგად ვიცოდი ძველი იაპონური, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხეიანურ ლიტერატურას, ასე თუ ისე, მიანც ვკითხულობდი. ჩანს, იგი სწორედ მაშინ ჩამწვდა სულში. მას შემდეგ, რაც ეს ნაწარმოები დაინერა, იაპონური ლიტერატურა ყოველთვის მისიწარადოდა მისკენ. მთელი ამ საუკუნეების მანძილზე, ვინ მოთვლას, რამდენი მიმბაძველი ჰყავდა! სტუდენტების ყველა სახე, დანკებული გამოყენებითიდან, ბაღის დაგეგმვრებით დამთავრებული, პოეზიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სწორედ "გენძიში" ხედავდა მშვენიერების წყაროს.

სილბაზის არამოკა და აღმოჩენა

ურამბეძეობა

მე ძირითადად რომანებს ვწერ, მაგრამ, დარწმუნებული არა ვარ, რომ ეს ჩვენი საუკუნის ხელოვნების ყველაზე შესაბამისი ფორმაა, და რომ საერთოდაც რომანის ეპოქა დასასრულს არ უახლოვდება. ზომ არ უახლოვდება დასასრულს თავად ლიტერატურის ეპოქა? სწორედ ეს ეჭვი მიჩნდება, როცა თანამედროვე დასავლურ რომანებს ვკითხულობ. უკვე ერთი საუკუნეა, რაც იაპონიაში ევროპული ლიტერატურის შემოტანა დაიწყო, მაგრამ იაპონური ლიტერატურა არა თუ ვერ მიუახლოვდა ხეიანის პერიოდის მწერალი ქალის - მურასაკი სიკიბუსა თუ გენროკუს დროინდელ ბასიოს სტილის სიმაღლეს, არამედ პირიქით... ლიტერატურა იქნებ იმ ზღვარზე მიდის, რომლის შემდეგაც აღმასვლა იწყება, იქნებ გაჩნდნენ ახალი მურასაკი და ბასიო? მეიძის შემდეგ (1868), როდესაც ქვეყანა პირველად ეზიარა თანამედროვე ცივილიზაციას, მოხდა სწრაფი აღმავალი, გაჩნდნენ საკმაოდ დიდი მწერლები. მაგრამ, იმის გამო, რომ მათ თავიანთი ახალგაზრდული წაღვრები დასავლური ლიტერატურის შესწავლას დაეთმეს, მთელი სიცოცხლის ნახევარი განათლებას მოაძიარეს, ბევრმა ვერ მიიღწია თავისი იაპონური თუ აღმოსავლური სულისკვეთებით დანერგილი საკუთარი ნაწარმოებების სრულყოფილებას. ისინი ეპოქის მსხვერპლად იქცნენ. ისინი შორის იდგნენ ბასიოსაგან, რომელიც ამბობს: "თუ არ იცი, რა არის უცვლელი, საგრძნეს კარგაც; თუ არ იცი, რა არის ცვალებადი, სათანადო სტილს..."

...აქ, შავის კუნძულებზე, ძირითადად "გენძი-მონოგრაფისა" და "სასთუმალთან ჩანაწერების" კითხვით ვიყავი დაკავებული. სწორედ აქ ვიგრძენი პირველად განსხვავება მათ შორის და აქ განსხვავებით გაცოცხლები დავრჩი. ამის მიზეზი შეიძლება ჩემი ხანდაზმულობა იყო. როგორღაც განსაკუთრებულად მწავვედ ვგრძნობ (და არა მგონია, გამიარის ან გრძნობა), რომ როგორც სიღრმით, სიმდიდრით, მასშტაბურობითა და სიდიდით, ისე აზრთა სიმკაცრითაც მურასაკი-სიკიბუ აღემატება სეი სიონაგონს.

შეიძლება ეს დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათაც იცოდნენ და დიდი ხანია ლაპარაკობდნენ, მაგრამ ჩემთვის ეს აღმოჩენა იყო. თუ შევეცდებით მათ შორის არსებული განსხვავების ერთი სიტყვით დავმოცემას - მურასაკი-სიკიბუსთან იაპონური სულია, რომელიც ბასიოს გადაეცა, სეი სიონაგონთან კი ან სულია მხოლოდ ერთი შხარე წარმორიელი. რა თქმა უნდა, როცა გენძი აზრი ერთი სიტყვით გამოსატო, იგი შეიძლება არადაამაჯუვრებლად ფლერდეს, შეიძლება არასწორი აზრსა და კამათს გამოიწვიოს. რას იზამ, ადამიანს უფლება აქვს არ დავცეთანხმოს. ჩემი გამოცდილებით ვიცი, დროთა განმავლობაში როგორ გეცვლება შეხედულებები, გეცვლება აზრი, როგორც ძველი, ისე თანამედროვე მწერლებსა და საკუთარ თბულებებზე. ზოგჯერ ეს ცვლილებები განსაკვირვებელ ხასიათს ატარებს, ხოლო ზოგჯერ ოდნავ თუა შესაძნევე. ლიტერატურული კრიტიკოსი მთელი ცხოვრება თუ ერთი აზრისაა, ან დიდა ან სულელი. იქნებ დრო რომ გაივლის, სეი სიონაგონი მურასაკი-სიკიბუს გვერდით დაეყვანო. როგორც "გენძი", ისე "ჩანაწერები სასთუმალთან" სიყმაველემ ნავიციოთხ, უზრალოდ, თვალში მომხვდა, ამიტომაც, ბუნებრივია, მათი ღრმულად შეფასება მაშინ არ შემიძლო. "გენძის" შემდეგ "ჩანაწერებზე" გადავივი და გაცოცხლები დავრჩი, ნაკითხულმა მაშინ პირდაპირ შექმრა: "ჩანაწერები" მსუბუქია, ნატიფი, ექსპრესიული "გენძის" უფრო "ჩანაწერებმა" მოახდინა გავლენა. გეიანი საუკუნეების რენგა და ჰოკუ ასევე "გენძიზე" მტკად "ჩანაწერებს" ეხმარებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მწერლები სწავლობენ არა "ჩანაწერების", არამედ "გენძის" მიხედვით.

"გენძის" მშვენიერების შესახებ მონოტოორი ნორინგა (1730-1801) წერს: "მრავალ მონოგრაფის შორის "გენძი" განსაკუთრებულად მომხიბველი და უზადლოა. მას არც მანამდე და არც შემდეგ ტოლი არ ჰყავს. რომელიც ძველი მონოგრაფი არ უნდა იყო, არც ერთი ისე ღრმად არ გავლენა გულში, როგორც "გენძი"... მასავით ვერავინ შეძლო ასე გულში ჩამწვდომად აღწერა და განესხეულებინა "საგანთა სვედიანი მომხიბველობა". მართალია, შემდგომში დავრჩილი მონოგრაფების ავტორები სწორედ "გენძიზე" სწავლობდნენ, მაგრამ მის დონეს ვერავინ მიადნია - თავისი სიღრმით ყველაფ-

რისადმი, რასაც კი შეეხება, სიცოცხლის შობაბრუნის უნარი "გენძი" შეუდარებელია. ხოლო თუ რაოდენ დიდებულია მისი სტილი, ამაზე უკვე ლაპარაკი არ ღირს. განსაკვირვებელია პეიზაჟები, ცის ხედები, როგორ იცვლება ეს ყველაფერი წელიწადის დროთა ცვალებადობის მიხედვით - გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი... ქალები და კაცები კი ისე ნათლად, ისე ცხოვლად და დასატული, ასე გგონია ცოცხალ ადამიანებს ხედები და მათ საქმეებში, მათ ცხოვრებაში ერთვები. თითოეული პერსონაჟი თავისთავად, დამოუკიდებელი სახეა. რეალობის ამგვარ შეგრძნებას კი წერის მთრთოლვარე, არაცხადი, მონისლული მანერა ქმნის... ალბათ არც იაპონიასა და არც ჩინეთში უკვე აღარ შეიქმნება არამეფელებრივ ადამიანთა სულის ამსახველი, ხორცის შემსქელი მსგავსი ნაწარმოები - არ შეიძლებაო და შექმნილიყო არც ადრე, არც ახლა და არც მომავალში შეიქმნება". ასე და ამგვარად, ნორინგას მხედველობაში აქვს არა მხოლოდ წარსული, არამედ მომავალიც. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სიტყვები - "არც ახლა, არც მომავალში" ნაკითხულით მოხიბლულმა ნორინგამ გრძნობებს აყოლილმა დაწერა, მაგრამ, საუბედუროდ, მისი წინასწარმეტყველება ახდა. იაპონიაში მართლაც დღემდე არ შექმნილა ნაწარმოები, რომელიც "გენძი-მონოგატარს" დაუდგება გვერდით. მსოფლდროოდ-მეთქი, როცა ვამბობ, შეიძლება არც ისე მიესადაგება მოცემულ შემთხვევას, მაგრამ მხოლოდ მე როდი ვამბობ ამას? კი ოდენ ნაწილი ვარ იმ ხალხისა, რომელმაც ათასი წლის წინათ შექმნა ისეთი ნაწარმოები, როგორიც "გენძი-მონოგატარია". და მე ვოცნებობ, ვიმედოვნებ, რომ ბოლოსა და ბოლოს გამოჩნდება მწერალი, ვისაც მურასაკი-სიკიბუს დაუყენებენ გვერდით.

როცა დიდი ინდოელი მწერალი - რაბინდრანათ თაგორი (1861-1941) იაპონიაში ჩამოვიდა, სიტყვით გამოხვლიკისა თქვა: "ყოველი ერთი ვალდებულია მსოფლიოს წინაშე თავისი ნაციონალური რაობით წარსდგეს. თუ ერს არაფერი შეუქმნია ისეთი, რისი მიცემაც მსოფლიოსთვის შეუძლია, ეს უნდა განიხილოდეს, როგორც ეროვნული დანაშაული და ეს სიკვდილზე უარესია. ამას კაცობრიობის ისტორია არასოდეს პატიობს. ერთი ვალდებულია საყოველთაო საკუთრებად აქციოს ის, რაც ყველაზე საუკეთესო გააჩნია. ერის სიმდიდრე მისი კეთილშობილი სულია, ხოლო მისი ღირსება - გადაღაბის საკუთარი ვიწრო ინტერესები, მთელ მსოფლიოს გაუფაზვნოს მოწვევა და მონაწილეობა მიიღოს, თავის სულიერ კულტურას აზიაროს". და კიდევ: "იაპონიამ მისცა სიცოცხლე ფორმით სრულყოფილ კულტურას, ადამიანებს შორის განავითარა თვალთახედვა, რომლის მიხედვითაც სიმართლე სილაპაზეშია, ხოლო სილაპაზე სიმართლემი".

ის, რომ 1000 წლის წინათ მსოფლიოს ვარუქეთ ისეთი ნაწარმოები, როგორიც "გენძი-მონოგატარია", მსოფლიოს წინაშე, როგორც ამას თაგორი ამბობს, ჩვენი ეროვნული ვალი მოვიხადეთ...

"ღიას, იაპონიამ გარკვეულ სრულყოფილებას მი-აღწია. ხოლო ის, თუ რაში მდგომარეობს ეს

სრულყოფილება, ვფიქრობ, უცხოელისათვის უფრო ადვილი გასაგებია, ვიდრე თქვენთვის, იაპონელებისთვის. მაგრამ ერთი რამ უნდათ, კაცობრიობისათვის ძვირფასია სწორედ ეს, რაც იაპონიას უამრავ ერებს შორის გამოარჩევს, რაც უწინდებია არასხვეთნა შემთავისებლობის უნარით, არამედ ამოზრდება მისი სულის შინაგანი არსიდან". ეს სიტყვებიც რაბინდრანათ თაგორმა წარმოთქვა იაპონიაში მისი პრევილი ჩამოსვლის დროს - 1916 წელს, კი-ეს უნივერსიტეტში წაიკითხულ ლექციაზე - "იაპონიის სული". იმ დროს ჯერ ისევ ძველი სასკოლო სისტემა არსებობდა. მე მაშინ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, ამიტომაც მისი სურათები მხოლოდ გაზეთებში მქონდა ნახაზი. და აი, დღემდე მახსოვს მაღალი, თავისუფალ ინდურ საბოშის გამოწყობილი დიდებული მოხუცი, გრძელი, ხშირი თმით, გრძელი წვერით და ღრმა, ჭკვიანი თვალებით... დი-ახ, ჩემს ყმანელიურ გონებაში სამუდამოდ აღიბეჭდა აღმოსავლელი ბრძენი მოხუცის - რაბინდრანათ თაგორის სახე. ინგლისურ ენაზე არსებობს თაგორის როგორც პროზა, ისე პოეზია, სრულიად ხელმისაწვდომი საშუალო სკოლის მოსწავლისთვის და იმ დროისათვის მეც რაღაც უკვე წაკითხული მქონდა.

...უნინ, როცა მატარებელი ტოკოიდან კიოტამდე ასეთი სიჩქარით არ დაქროდა, შეგძლო ფანჯრიდან სიძოყას ჩიის მინდვრებითა და სხვა ხედებით დამტკპარიყავი. ისინი ათასგვარ ფიქრს აღძრავდნენ. შობატექნიკებს შორის ერთი ყველაზე შობატექნიკად და ამბავლევებელი იყო. ტოკოიდან საგას პრეფექტურაში მგზავრობის დროს მზერას ომის გზის ხედები იტაცებს, იმ ომის, რომლის შესახებაც ბასიო თავის ჰოკუში წერს:

"მიდის გაზაფხული და ომის მცხოვრებლების დარად წარმავალი გაზაფხული მონანება..."
 გაზაფხულობით, როცა არ უნდა ციყო ომიში, უსათუოდ ბასიოს ეს ჰოკუ მასწენდება და ომის სილამაზით განცვიფრებული ლექსს ჩემი განწყობილების მიხედვით აღვიქვამ. გამოდის, რომ მე საკმაოდ თვითნებურად ვექვეცი ბასიოს ამ ჰოკუს. მაგრამ ადამიანს გულთან არაიშვითად მიაქვს, ისისხლოზრცავს არა მარტო საყვარელ ლექსს, არამედ რომანსაც, ისე რომ, ყურადღებას არ აქცევს ავტორის ჩანაფიქრს, რომ სწვდება ნაწარმოების არსს, სწავლულთა და კრიტიკოსთა აზრსა და მსჯელო-



ბას და მას თავისებურ შეფასებს აძლევს. ეს შეიძლება ითქვას კლასიკურ ლიტერატურაზეც. როდესაც ავტორი დებს ფუნჯს, ნაწარმოები თავისი საკუთარი ცხოვრებით იწყებს ცხოვრებას, თავისი გზით მიდის მკითხველამდე და იცოცხლებს იგი თუ მოკვდება, ეს უკვე არა ავტორზე, არამედ მკითხველზეა დამოკიდებული. ავტორი აქ უძღვრება...

“ოფელსაც, დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა პაპა ტაკეტორი. იგი თელი დღეების განმავლობაში მთებსა და მინდვრებში ივარგებოდა, ბამბუქს აგროვებდა და მისგან პატარა ნივთები გამოჰყავდა. ერთხელაც შეაშინია, რომ ერთ-ერთი ბამბუქი შიგნით სინათლეს აფრქვევდა. გაოცებული ახლოს რომ მივიდა და კარგად დააკვირდა, აღმოჩნდა, რომ ეს პატარა, ერთი ციდა მომხიბვლელი გოგონაა. “რახან შენ იმ ბამბუქში ცხოვრობ, რომლის გვერდითაც ყოველ დილა-საღამოს დავდივარ, მაშასადამე, ქალიშვილად მერგები”, - უთხრა მოხუცმა, ხელისგულზე დაისვა, სახლში წაიყვანა და აღსაზრდელად ცოლს ჩააბარა. აბა წარმოიდგინეთ, როგორი საყვარელი და მშვენიერი უნდა ყოფილიყო გოგონა, კაცს ხელისგულზე რომ მოეთავსებინა”.

ჯერ ისევ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, როცა “ტაკეტორი-მონოგრაფის” (X საუკუნე) ეს პირველი სტრიქონები წავიკითხე, მაგრამ მათი სიღამაზე მაშინვე შევიგრძენი. კოიტოს მახლობლად, საგამში, ბამბუქის ახალნაშობრდელი ტყეს რომ ვუყუარებდი, წარმოვიდგენდი, რომ სწორედ ასეთ ლამაზ ტყეში ანათებდა ის ბამბუქი, რომელშიც პატარა გოგონა - კაგუიხიმე იჯდა. მაშინ მხოლოდ საშუალო სკოლის მონაწილე ვიყავი და წარმოვიდგენა არ მქონდა იმ ძველ ლეგენდებსა და თქმულებებზე, რომელიც “ტაკეტორი-მონოგრაფს” ედო საფუძვლად. მიუხედავად ამისა, ვგრძნობდი, რომ “ტაკეტორის” ავტორმა აღმოაჩინა, შეიგრძნო და შექმნა სიღამაზე. ვინაიდან მეც სწორედ ამისკენ ვისწრაფოდი, იაპონური პროზის მამამთავარმა, მის მიერ შექმნილის შეუდარებელმა სიღამაზემ გაუგონარი შეყოფილება მომიგვარა. გამაოცა მარადიული ქალურობის წინაშე ქედმობრის, თავყინისცემის ამ გრძნობამ. აი ორი ნაწყვეტი “გენძიდან: “კაგუიხიმე წმინდაა მინიერი სიბინძურისაგან, იგი კეთილშობილი და ამაღლებულია...” და კიდევ: - “ზეცაზე, სადაც ამაღლდა კაგუიხიმე, არავინ არაფერი იცის”. ეს არა მხოლოდ ლამაზი სიტყვებია მურასაკიდან, არამედ თითქოს ჩემი შეგრძნებაა, ჩემი განცდაა. იქნებ იმიტომ, რომ ეს ჯერ კიდევ ადრეული ქაბუკოსას მომხვედრულზე აქ, ჰონოლულუში, იაპონური ლიტერატურის თანამედროვე მკვლევართა ნაშრომებში ამოვიკითხე,

“ტაკეტორი მონოგრაფი” უსასრულობასა და სწმინდზე უძველესი ადამიანების სევდას ასახავს...

ჩემს ახალგაზრდობაში იაპონური კლასიკიდან ყველაზე მეტად ხეიანის ეპოქის “გენძი-მონოგრაფი” და “ჩანანური სასთუმელთან” მომწონდა. უფრო ადრეული - “ჰოძიკი” (712 წ.), ხოლო შედარებით შემდგომი პერიოდის - “შეიკი-მონოგრაფი” (XII, საუკუნის დასაწყისი); რაც შეეხება საიკაკუს მოთხრობებს (1653-1724), ისინი გაცილებით გვიან წავიკითხე. პოეზიაში პირველ რიგში თითქოს ხეიანური “კოკენსიუს” წაკითხვა ჯობდა, მაგრამ, ჩემდაუნებურად ნარას ეპოქის (VIII საუკუნე) “მანიოსიუს” წაკითხვა მომიწია. სიმართლე რომ ითქვას, კი არ ამოვიჩნიე, უბრალოდ, დროის თვალსაზრისით თანამიმდევრობა დავიკავი.

რა თქმა უნდა, “მანიოსიუს” ენასთან შედარებით “კოკენსიუს” ენა გაცილებით მარტივია, მაგრამ ახალგაზრდისთვის “მანიოსიუს” უფრო ადვილი გასაგებია, ვიდრე კოკენსიუს, მასთან “მანიოსიუს” გრძნობით უფრო ახლოსაა. და აი, ვფიქრობ, თუმცა, შეიძლება ეს საკითხის გაუბრალოებამ მოგეცვენოთ, პროზაში უპირატესობას გრაციოზულ, ქალურ სტილს ვაძლევდი, ხოლო პოეზიაში - ვაჟაკურ, მამაკაცურ სტილს. თუმცა, იმის გამო, რომ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში საქმე საუკეთესო ნაწარმოებებთან მქონდა, ჩემზე ამან სასიკეთოდ იმოქმედა.

მართალია, იმ სიღამაზის კარის ზღურბლს იქით ვერ შევადინე, რომელიც “გენძიშია” წარმოადგენილი, არ შემძლია არ მოვიხსენიო იაპონური ლიტერატურის მკვლევართა - ედვარდ ზეიდენსტიკერის, დონალდ კინის, ივან მორისისა და სხვათა საუკეთესო ნაშრომები “გენძის” შესახებ, სადაც ბევრი რამ ასხსნეს და გამოაშკარავეს. ათი წლის წინათ, სადილზე პენ-კლუბის ბრიტანულ სექციამ, არტურ უილის გვერდით ვიჯექი, ვინც თარგმნა და მსოფლიო ლიტერატურის საკუთრებად აქცია “გენძი”. დღემდე მასხვს, როგორ გასაუბრობდით - ის დამ-



ტერეულ იაპონურ ენაზე, მე დამტერეულ ინგლისურზე, მიუხედავად ამისა, მშვენიერად გვესმოდა ერთმანეთის. როცა იაპონიაში დავაბტეე, მიასუსა, არ ჩამოვალ, მეშინია იმედ არ გამიცრუვდეს.

მასოსეს, გაცეებული დავრჩი დონალდ კინის 1966 წლის 16 აგვისტოს გაზეთ "სინანო მინიტიში" გამოქვეყნებული წერილით - "ამალეული საუბრები მის ძირას", სადაც წერს - ასე მეშინია, უცხოელთათვის უფრო ადვილია "გენძის" არსში წვდომა, ვიდრე თავად იაპონელებისთვის:

"თავის დროზე "გენძის" ინგლისურმა თარგმანმა ჩემზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ იაპონურ ლიტერატურასთან მიმიყვანა. ასე მეშინია, უცხოელთათვის უფრო ადვილია "გენძის" არსში წვდომა, ვიდრე თავად იაპონელებისათვის. ორიგინალის ენა, ანუ ძველი იაპონური როული და ძნელი გასაგებია, თუმცა თანამედროვე იაპონურ ენაზე "გენძის" არცთუ ცოტა თარგმანი არსებობს. იმისათვის, რომ ნაწარმოებს უფრო მეტი სიცხველე მისცენ, მთარგმნელები თავისდაუნებურად ხშირად მიმართვენ გამოთქმებს, რომლებიც თანამედროვე ენისთვის მოძველებულია. ინგლისურ თარგმანში კი ეს პრობლემა არ დგას, ამიტომაც როცა "გენძის" ინგლისურ თარგმანში კითხულობ, იგი უზარმაზარ შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩემი აზრით, XX საუკუნის ამერიკელებისათვის "გენძი" გაცილებით ახლობელია, ვიდრე XIX საუკუნის ევროპული ლიტერატურა. ამის საიდუმლო, ჩანს, ხასიათების სიცოცხლე-სიცხველეშია. თუ ვკითხავთ, რომელი უფრო ადრეა შექმნილი, "გენძი" თუ ოძაკი კოიოს "ოქროს დემონი" (1867-1903), ეს უკანასკნელი გაცილებით ადრეული მოგვჩვენებს.

"გენძის" გმირები ცოცხალი ადამიანები არიან, სწორედ ეს არის მისი მარადიული ახალგაზრდობისა და უცვლელი წარმატებების მიზეზი. დრო და ცხოვრების წირი, რა თქმა უნდა, განსხვავებულია, მაგრამ იგი სრულიად გასაგებია XX საუკუნის ამერიკელებისათვის. შემთხვევით არ არის, რომ "გენძი-მონოგატარი" ნიუ იორკის კოლეჯების XX საუკუნის ლიტერატურის კურსშია შეტანილი", - წერს წერილის ავტორი.

კიანის ამ სიტყვებმა - უცხოელისთვის უფრო ადვილია "გენძის" არსში წვდომა, ვიდრე თავად იაპონელებისთვისო, თავგონის ეს სიტყვები გამახსენა: "...ხოლო ის, თუ რაში მდგომარეობს მისი სრულყოფილება, ვეჭვობ, უცხოელთათვის უფრო ადვილი გასაგებია, ვიდრე თქვენთვის, იაპონელებითათვის". და გავიფიქრე: რა ბედნიერებაა, რომ არსებობს სიღამაზე და რომ ეს სიღამაზე ისხნება ადამიანებისათვის.

თარგმნა ლილი მჭაქალიძემ

შენიშვნები:

1. "ისე-მონოგატარი" ("მოთხრობა ბამბუკების შემგროვებელზე" ანუ "ამბავი მოსუცი ტაკეკურის შესახებ") - იაპონური ლიტერატურის პირველი პროზაულ-პოეტური ნაწარმოები. IX საუკუნის პირველი ნახევარი. ავტორი უცნობია.
2. უტამონოგატარი - ლიტერატურული ჟანრი, პატარა ლირიკული მოთხრობა.
3. ტანის კულტურა - ტანის დინასტიის მმართველობის პერიოდის (618-907) ჩინური კულტურა. აღინიშნება ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავებით.
4. ხეიანის კულტურა - მოიცავს IX-XII საუკუნეებს. გამოირჩევა კულტურისა და ხელოვნების განსაკუთრებული აღმავლობით, ატარებს ვინო კლასობრივ ხასიათს, ასახავს არისტოკრატიის ყოფასა და მის იდეურ სამყაროს.
5. "მონო-ნო-ავარე" - "საგანთა მომხიბველობა", თითოეულ საგანში ფარულად არსებული სრულყოფილი მშვენიერება, რომელიც ადამიანში პარმონისა, სამყაროსთან ერთობის შეგრძნებას, სვედით შუგრავებულ ღრმად ლირიკულ გრძობებს აღძრავს.
6. "კოკინსიუ" ("იამბოს ძველი და ახალი სიმღერების კრებული" - 905 წელი) - შედგება 20 განყოფილებისაგან. კრებულში შესულია 1100 ლექსი.
7. "გენძი-მონოგატარი" ("მოთხრობა გენძიზე" - 978-1015 წლები) - ხეიანის ეპოქის ლიტერატურული ძეგლი. ავტორია მწერალი ქალი, სასახლის კარის დრეილინა მურასაკი-სიკიბუ.
8. "ჩანანერები სასთუმალთან" - ხეიანის ეპოქის ლიტერატურული შედევრი. ავტორია მწერალი ქალი - სეი სონაგონი (978-1015).
9. გენროკუს პერიოდი - იაპონიის ისტორიოგრაფიაში ეწოდება პერიოდს 1688 წლიდან 1713 წლამდე. ეს არის ქალაქური კულტურის აყვავების, ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის აღმავლობის პერიოდი.
10. ბასიო (1644-1694 წწ.) - დიდი იაპონელი პოეტი. მისი ლექსები შესულია იაპონური პოეზიის ოქროს ფონდში.
11. რენგა და რენგა ჰაიკაი - იაპონური პოეზიის ჟანრი. ერთგვარი პოეტური თამაში, რომელშიც რამდენიმე, ძირითადად 3 ავტორი იღებს მონაწილეობას.
12. მონოტორი ნორინგა (1730-1801). იაპონელი მეცნიერი, ლიტერატორი. სწავლობდა ძველ იაპონურ ლიტერატურას. ჰყავდა უამრავი მონავე.
13. "კოძიკი" ანუ "უძველესი საქმეთა მატთანე" (VIII საუკუნის დასაწყისი) - იაპონური მითების, ისტორიული თქმულებების, ლეგენდების კრებული. ითვლება პირველ იაპონურ წერილობით ძეგლად.







<http://www.opentext.ge/arili>

წაბვ HERE



№ 2973
"სკრეტი"

ახალი
გამომცემლობა



ახალი
წიგნები